საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. ხუთშაბათი, 10 აპრილი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობა

ფასი 75 კაპ.

[illegible] ფასი: 1 თვით 18 მანეთი. ცალკე ნომერი ფასი 75 კაპ. განცხადებების ფასი, [illegible] — 1 მან. [illegible] განცხადებები 25 მან. [illegible] 12 ს. [illegible] კანტორაში.

[illegible] ტფილისი, [illegible] ქუჩა № 199 გაზ. „ერთობის" რედაქცია [illegible] რედაქციაში [illegible] 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის [illegible] № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 80 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 80

10 აპრილს, 12 საათზე, **ვაშნარის ძმათა სასაფლაოზე, ოზურგეთის ოსმალეთთან ომის დროს დახოცილ მეომართა** ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, რასაც აუწყებენ საზოგადოებას **ოზურგეთის ერობის გამგეობა, მეგლის ამგები კომიტეტი** და **ქალაქის თვითმართველობა.**

ღრმად დამწუხრებულნი: მამა დავითი, დედა ესმა, ძმები კაპიტონ და კლემენტი, დები მარიამ და პისტი კალანდაძენი და სიძე სილოვან კობიძე აუწყებენ მეგობრებს, ნაცნობებს და ნათესავებს საყვარელის

შალვა დავითის ძე კალანდაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს 10 აპრილს 12 საათზე (ქ. ლანჩხუთში) წმინდა გიორგის ეკლესიაზე. (2—2)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახაზინო რკინის გზების თფილისის ფონის სახელოსნო გამართვის შტაბი აუწყებს ამხ. გვარდიელებს და მოქალაქეებს, რომ კვირას 13 აპრილს დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი სომხეთ-საქართველოს ომის დროს სადგ. [illegible] 19 დეკემბერს გმირულად ბრძოლაში მოკლულ ამხ. გვარდიელ

კოტე (კონსტანტინე) ელიზბარის ძე შენგელიას

ხსოვნის აღსანიშნავად. პანაშვიდი გადახდილ იქნება ს. შუახევში, მიცვალებულის სასაფლაოზე (იმერეთი) გამგზავრება მოხდება ქ. თფილისიდან, შაბათს 12 აპრილს, საღ. 7 ს. და 30 წუთ. მატარ. № 1. სამტრედიიდან დილის 9 საათზე ოქროს ეკლესიასთან და თავის საკუთარ სახლთან გაჰყვით. (3—1)

I სამილიციო უბნის მილიციონერები და კანცელარიის მოსამსახურეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 8 აპრილს, საღამოს 10 საათზე ტრაგიკულად დაიღუპა თავის სამსახურის ასრულების დროს ამავე სამილიციო უბნის უფროსი მილიციონერი და ადგილობრივ ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარე ძვირფასი და საყვარელი ამხანაგი

იოსებ ეგორის ძე ნიქარიძე.

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ღრმად დაწუხრებულნი: დედა ნატალია პლატონის ასული, მამა იოსებ ათანასეს ძე, ბებია ელისაბედ მიქელაძისა, რძალი ფეფელა, და ლიზიკო, ძმები: მიშა, ზალიკო, არჩილი, ბაგრატი და პლატონი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ სურამის პასტერისტულ სანატორიუმში გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და ძვირფასი სტუდენტი

ათანასე (ათუშა) ძიძოძე

ღრმად დაწუხრებულნი: მეუღლე ნინო, ძმები: რომანოზ და იოსებ კანკავები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას

რაჟდენ ნიკოლოზის ძე კანკავასას

დასაფლავება მოხდება, პარასკევს 11 აპრილს საბურთალოს სასაფლაოზე, გამოსვენება—ელისაბედის ქუჩა № 224 დილის 10 ს.

მადლობა!

უღრმეს მადლობას მოვახსენებ იმ მასწავლებლებს, მოწაფეებს, მის პარტიის წევრებს, განსაკუთრებით ტრამვაის მოძრაობის მოსამსახურეებს და აგრეთვე სხვებსაც, რომლებმაც პატივი სცეს და მონაწილეობა მიიღეს ჩემი ვაჟიშვილის მოწამე სიმა დანელიას დასაფლავებაზე.

გულ-დამწვარი მამა იოსებ დანელია.

პროფესიონალური კავშირები და პოლიტიკა

სოციალისტური პრაქტიკა და თეორია გვიჩვენებს, რომ პროფ. კავშირები უპირველეს ყოვლისა—აწარმოებენ კლასობრივ ბრძოლას ეკონომიურ სფეროში, იცავენ მუშათა ეკონომიურ ინტერესებს, ცდილობენ მათი შრომის პირობების გაუმჯობესებას და მხოლოდ იმდენად ერევიან პოლიტიკურ ბრძოლაში, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ ეკონომიურ ბრძოლის პროცესში.

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს მუშების და მათი ორგანიზაციების ჩამოშორებას პოლიტიკისაგან. პირიქით, მათ უდიდესად დიდი ინტერესები აქვთ პოლიტიკურ სფეროში და ამისთვის ქმნიან კიდეც განსაკუთრებულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, პოლიტიკურ პარტიებს.

ამ რიგად სდგება ორი რიგი ორგანიზაციებისა—წმინდა პოლიტიკურ-პარტიული და პროფესიონალური.

პირველი სდგება პოლიტიკური მსოფლმხედველობის საფუძველზე, მეორე პროფესიის. პირველში თავს იყრიან ერთნაირად მოაზრენი, მეორეში ერთ დარგში მომუშავენი, განურჩევლად რწმენისა.

აი აქედან წარმოსდგება განსხვავება ამ ორგანიზაციების დამოკიდებულებისა პოლიტიკურ საკითხებთან. პოლიტიკა აინტერესებს მუშათა კლასს, მაგრამ ამ საკითხებში იგი ხშირად სხვადასხვა გვარი აზრისაა.

ამიტომ პროფესიონალური მოძრაობის ინტერესი მოითხოვს მასში არ იქნეს შეტანილი ეს ელემენტი განხეთქილებისა და გათიშვისა.

მაგრამ ეს დებულება ყოველთვის სისწორით არ ტარდება ცხოვრებაში. პირიქით, ხშირათ პოლიტიკა შეიჭრება ხოლმე თვით კავშირებში, პოლიტიკა პროფესიონალური და პოლიტიკა საზოგადოდ. პროფესიონალური პოლიტიკის განსხვავება ბადებს სადაო ბრძოლას კავშირებს შიგნით მათი მუშაობის მიმდინარეობისათვის. საზოგადო პოლიტიკის შეტანა კი განხეთქილებას ქმნის და არევ-დარევას იწვევს.

მაგრამ დღეს ისეთი დროა, რომ ამ საზოგადო პოლიტიკის გვერდზე დადგომა ძნელდება. რევოლუცია—პოლიტიკური ტენდენციების უმწვერვალესი განვითარებაა და აქედან აუცილებელი ხდება ხშირი პროფ. კავშირებისთვისაც ზოგადი პოლიტიკური კითხვების გაშუქება. ჩვენ ანგარიშს ვუწევთ დროების ამ მოუცილებელ მოთხოვნილებას. ჩვენ ვერ ავუხვევთ გვერდს ზოგადი კითხვების განხილვას. განსაკუთრებით ჩვენში, სადაც ათასი ახალი თავსატეხი საკითხი წარმოშვა ახალ რესპუბლიკების გაჩენამ და მათში განსხვავებულმა პოლიტიკამ.

ყველა ამ კითხვებში გარკვევა კავშირებისთვის აუცილებელია, მაგრამ ამ კითხვებში ზოგიერთი განსხვავებანი არ უნდა გახდეს მიზეზათ განხეთქილებისა.

ერთია გაცნობა ამ საკითხების, მეორე ამ კითხვებზე—აშენება თავის პროფესიონალური მოძრაობის.

და რამდენად პირველი გამოსადეგია, იმდენად მეორე დამღუპველი და დამამხობელი იქნება.

ჩვენი მუშათა მოძრაობა უკვე შეეჩვია ასეთ პოლიტიკური ხაზის გატარებას. იგი პროფესიონალურ მოძრაობას არ ურევს პოლიტიკურ მოძრაობაში და ამით აძლიერებს ორივე დარგს მუშათა კლასობრივი ბრძოლისას.

ამ გზით მიდიოდა იგი დღემდე და ამ გზითვე წავა დღეიდანაც.

ეკლესია და სახელმწიფო

რევოლუციამ ეს კითხვაც წამოაყენა გადასაწყვეტათ: როგორი დამოკიდებულება უნდა დამყარდეს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის.

პრინციპიალურათ აქ სადავო არაფერია არა თუ სოციალისტისათვის, უბრალო დემოკრატისთვისაც კი. ცხადზე ცხადია, რომ შინაგანმა მოქმედებამ არავითარი ზიანი არ მიაყენოს არც საზოგადოებას და არც კერძო პირს—აქედან ის მთავარი პრინციპი, რომელზედაც უნდა აშენდეს სახელმწიფოებრივი ცხოვრება. ამ თვალსაზრისით უნდა შევხედოთ ჩვენ ეკლესიის საკითხსაც.

ბევრი ერთმანეთში ურევს ეკლესიას და სარწმუნოებას. ნამდვილად კი ეკლესია ერთგვარი ძალდატანებითი ორგანიზაციაა, ისეთი დაწესებულებაა, რომელსაც მრავალი სახელმწიფოებრივი ხასიათის საქმე აბარია. კერძოთ ეკლესიას აბარია მეტრიკის შედგენა. დაბადების და სიკვდილის შემოწმება, ქორწინება—და ყველა ამას ხომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკურ მდგომარეობისათვის, მის უფლება მოვალეობებზე. სარწმუნოება კი სინდისის საქმეა: მას არა თუ სახელმწიფოსთან და მის ორგანიზაციასთან არა აქვს რაიმე კავშირი, მას არავითარი დამოკიდებულება არ აქვს მეცნიერებასთან, უბრალო ცოდნასთან. მაშასადამე დღევანდელი ეკლესია, ის, რაც ძველმა წყობილებამ გვიანდერძა, სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს: ეკლესია ბოჭავს და ზღუდავს სარწმუნოებას, ის მუხრუჭში უჭერს ადამიანის სინდისს. და ეს [illegible] მოვლენა ბევრს იდეალით გამოაქვს, სარწმუნოების სასახელოთ ეჩვენება.

დემოკრატიას საჭიროთ მიაჩნია ამ [illegible] მოვლენის მოსპობა, ის მოწოდებულია გაანთავისუფლოს ადამიანი ყველა სფეროში და შექმნას ისეთი მდგომარეობა, რომ ადამიანი მართლა გახდეს გვირგვინი ქმნილებისა. ეს კი შესაძლებელია ეკლესიის ყველა შემავიწროებელ წესების გაუქმებით, მისი ორგანიზაციის მოშლით. ეკლესია უნდა გამოეყოს სახელმწიფოს—აქედან ჩვენი ლოზუნგი, რომელმაც ახლო მომავალში ხორცი უნდა შეისხას.

მაგრამ აქ იბადება წმინდა პრაქტიკული საკითხი: ერთი არის სამღვდელოების მდგომარეობა, ღვდლების, რომელთაგან იშვიათად ვინმე თუ იცის რამე სპეციალური ხელობა, რომ თავი ირჩინოს. მეორე—თითონ მორწმუნეები, რომელთა რიცხვი ჯერ ძლიერ კიდევ დიდია.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სახელმწიფოს და თვითმართველობებს ადვილათ შეუძლიათ ამ საქმის მოგვარება: მეტრიკების შედგენა, ქორწინების აქტის შემოწმება და სხვა საქმეები უნდა მიიღონ ერობებმა და ქალაქის თვითმართველობებმა და პირველ ხანებში აღნიშნულ საქმეების გამგებლებათ ისევ ღვდლების მოწვევა შეეძლებათ.

მორწმუნეები კი შეადგენენ საზოგადოებებს და თითონ გამოიმუშავებენ პირობებს, რომლის საფუძველზე მოიწვევენ ღვდლებს ღვდელმოქმედების შესასრულებლად. და რაკი თავიდანვე ეცოდინებათ ღვდლით მოწვეულ პირს სამსახურის პირობები, ადვილიც არ ექნება ისეთს გაუგებრობას, რომელიც დღეს ხშირათ ხდება სოფლებში: დაობენ ნიხრზე, ზოგან თავპირის მტვრევამდეც მიდიან და ეკლესიებს კი კეტენ, რაც ჩვენის აზრით, შეუწყნარებელია, რადგან რა დააშავა მორწმუნე კაცმა, რომელსაც ამ კინკლაობით უშლიან მის წმინდათა წმინდას და ლოცვის საშუალებას უსპობენ.

საჭიროა სოფლებში თითონ მოაგვარონ სარწმუნოების საქმე, საჭიროა ითაოსნონ და გამოიმუშაონ ის ზომები, რომელიც გაადვილებს იმ აქტის ცხოვრებაში გატარებას, რომელიც გამოიხატება ეკლესიის და სახელმწიფოს განცალკევებაში.

სახელმწიფოში ბევრი სხვადასხვა სარწმუნოების ხალხი, ბევრი მოქალაქე სრულიად ურწმუნოა. სამართლიანობა მოითხოვს სახელმწიფომ არ გაიღოს ხარჯი საერთო ხაზინიდან მცხოვრებთა ზოგიერთ ჯგუფებისათვის. მორწმუნემ თითონ დაიკმაყოფილოს თავისი გრძნობა, ურწმუნო უნდა განთავისუფლდეს იმ ხარჯისაგან, რომლის გაღებაც ის საჭიროთ არ თვლის.

თავისუფალი სარწმუნოება თავისუფალ სახელმწიფოში—აი რა უნდა განხორციელდეს დღეს.

პრესა

გაზეთ „საქართველოს" ოპოზიციონერობა ძლიერ მოსწონს. მით უმეტეს, რომ ახლა მოღვაწეთა გადაქცეული ს.-დ. ოპოზიციაში დგომა. აი რას სწერს ეს გაზეთი, სხვათაშორის № 78. (წერილი: „ადმინისტრ. და სასამართლოს უძლურება").

„საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან მოგვდის სამწუხარო ამბები. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივ აგენტების თვითნებობას საზღვარი არ აქვს. ისინი არიან ადმინისტრაცია და სასამართლოც. მათ საწინააღმდეგოს ვერაფერს ბედავენ მთავრობის ადგილობრივი წარმომადგენელნი. ვინც მათი პარტიის არ არის, მათთვის არ არსებობს არავითარი მოქალაქეობრივი უფლება. მათი პიროვნებისა და თავისუფლების დამცველი არ არის არც ადმინისტრაცია არც სასამართლო. მათგან გაუქმებული და გაბათილებულია. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის აგენტები, როგორც სჩანს, დამფუძნებელ კრების არჩევის შემდეგოს კიდევ უფრო გათავხედებულან! რით აიხსნება ეს მოვლენა?

„მმართველ პარტიის წვრილფეხა აგენტების ასეთს უპასუხისმგებლო თარეშს ადგილი აქვს არა მარტო შორეულს მივარდნილს კუთხეებში, არამედ იქაც, სადაც სხვადასხვა ჯგუფები და პიროვნებანი, რომელთაც არავითარი სადმინისტრაციო ან სასამართლო მოვალეობა არა აქვთ დაკისრებული, ვისაც უნდათ დაიჭერენ გაჩხრეკენ, თავისუფლებას მოუსპობენ, და სხვა ათასი ბარბაროსული წესები მყარდება ჩვენს ცხოვრებაში და ამის წინააღმდეგ არ იღებს ზომებს არც მთავრობა და არც უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულება".

ჩვენ ვიცით, რომ ადმინისტრაციაში ახლაც მოიძებნებიან ისეთი პირები, რომელნიც კანონიერებას გვერდს უვლიან და უსამართლობას სჩადიან. მაგრამ ამ ბრალდების ლიტონი განმეორება პირდაპირ უნიადაგო და მიზანშეუწონელია.

რა შეუძლია პარტიას, ან მთავრობას? ერთი რამ: ვისაც ბოროტმოქმედებას შეინიშნავს, ის გადააყენოს, დასაჯოს, სამართალში მისცეს. და ჩვენ არ ვიცით არც ერთი შემთხვევა, რომ ჩვენს პარტიას თავის მფარველობა გაეწიოს ვინმე ბოროტმოქმედის და, პირიქით, უსასტიკესათ არ გალაშქრებოდეს ასეთ პირების წინააღმდეგ.

მაშასადამე, ვისაც მართლა სურს ბოროტმოქმედების აღმოფხვრა, მან უნდა კონკრეტული ბრალდება წამოაყენოს, პიროვნება დაასახელოს, საბუთი მოიყვანოს და დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეს, რომ მისი სიტყვა და საბუთი არ დარჩება უშედეგოთ. ცალიერ ბრალდებების წამოსროლას კი დროა თავი გაანებოთ. ეს მხოლოდ უბრალო დემაგოგიათ იქცევა და პარტიულ კინკლაობათ, ამის ნაცვლად, რომ ერის გაჯანსაღებას ემსახუროს.

ინტერნაციონალი

ბერნის საერთაშორისო სოციალისტურმა კონფერენციამ, რომელსაც დაესწრნენ თითქმის ყველა ქვეყნების წარმომადგენლები, გარდა ბელგიისა და შვეიცარიის, გაარჩია სამი კითხვა: 1) მსოფლიო ომის პასუხისმგებლობა, 2) სადაო ტერიტორიების ბედი, 3) ბოლშევიზმი.

პირველმა კითხვამ, თუ ვინ იყვნენ ომის მიზეზების გამომწვევნი, დიდი კამათი გამოიწვია. საფრანგეთის სოციალისტებმა გაილაშქრეს გერმანიის ს.-დ. ეგრეთ წოდებულ უმრავლესობაზე: შეიდემანელები, დამოუკიდებლების წარმომადგენლები, ეისნერი და კაუცკი თავს იცავდნენ და უპასუხებდნენ ფრანგებს: შეიდემანელმა ველსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეხლა წარსულზე კი არ უნდა ვიმსჯელოთ, არამედ—მომავალზე. გერმანიის სოციალდემოკრატია ომის დროს არ შედიოდა მთავრობაში და ომში წარმოებულ მეთოდების წინააღმდეგ ყოველთვის ილაშქრებდითო. რაც შეეხება მას, რომ გერმანიის სოც.-დემ. უფრო ენერგიული ბრძოლა უნდა ეწარმოებინა მთავრობის წინააღმდეგ, ეს შეუძლებელი იყო, რადგანაც რუსეთის საფრთხე თვალწინ გვედგა და თუ მივიღებთ ყველა ამას მხედველობაში, მაშინ ის საკითხი, თუ ვინ არის დამნაშავე წარმოებულ ომში, უნდა ღიად დარჩესო. სხვა გვარათ უნდა შევხედოთ ტომას საქციელს, რომელმაც აიძულა კერენსკი ომი განეგრძო. უნდა პასუხის გებაში იქნენ მიცემულნი მოკავშირეთა მთავრობები, რომელთაც არ მოისურვეს ბრესტის მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღება.

რენოდელი აღშფოთებით აღნიშნავს გერმანელების საქციელს, რომელთაც სურთ, რომ დავიწყებას მიეცეს ომის გამომწვევთა საქციელი. „თქვენ,—ამბობს ორატორი,—დელეგატ შულერის პირით გვეუბნებოდით, რომ თუ გერმანია ომს გამოაცხადებს, თქვენ მას კრედიტს არ გაუხსნიდით, მაგრამ არ გაუვლია ორი დღე, რომ გერმანიამ ულტიმატუმი წარუდგინა საფრანგეთს, რომლისგანაც მოითხოვდა ტულის და ვერდენს.

ეისნერს არ სწამს, რომ ინტერნაციონალი აღდგება იმ გზით, რომ სისხლში გასვრილ ხელებს ერთმანეთს გაუწოდებენ. შეიდემანელებმა უნდა აღიარონ თვით, რომ ისინი ხელიხელ ჩაკიდებულნი მოქმედებდნენ თავიანთ ქვეყნის იმპერიალიზმთანო.

კაუცკი მოუწოდებს ფრანგებს, რომ მათაც აღიარონ თავიანთი შეცდომები.

ადლერი აღნიშნავს, რომ ავსტრია თავის დღეში არ ჩაიდენდა ისეთ სისულელეს, რომ ომი დაეწყო, გერმანიის იმედი რომ არ ჰქონოდა. ყველამ იცის, რომ 5 ივლისს 1914 წელს გადაწყდა ომის საკითხი. გვირგვინოსანთა საბჭომ ბერლინში გაიცნო რა ფრანც იოსების წერილი ვილჰელმისადმი მიწერილი, დაადგინა ომის დაწყება, რასაც მხარი დაუჭირა ბეტმანმა.

გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლუცია: „ბერნის კონფერენცია აღიარებს, რომ გამორკვეულია ომის დაწყების პასუხის-მგებელნი გერმანიის სოც.-დემ. დეკლარაციით, იმ დეკლარაციით, რომლითაც მოჰყვება ახალი რევოლუციონური ხანა გერმანიაში და რომლითაც საბუთით კავშირი შესწყდა ძველ წყობილებასთან და, მაშასადამე, ომის პასუხისმგებლებთანაც. სალამს უძღვნის გერმანიის რევოლუციას და ესურვებით განვითარებას გერმანიის დემოკრატიულ და სოციალისტურ დაწესებულებებს, კონფერენცია სთვლის შესაძლებლათ ინტერნაციონალის აღდგენას, რომელიც შეკავშირებულათ და თანხმობით იმუშავებს. გერმანიის დელეგატების განმარტება ხალხთა ლიგის შესახებ იმედს გვაძლევს, რომ ამიერიდან მუშათა კლასი შეიქნება დამაბრკოლებლათ და ყოველთვის გზას გადაუღობავს მილიტარიზმის აღორძინებას და ყოველივე ცდა დემოკრატიის და ინტერნაციონალის მოსპობის საქმეში წინააღმდეგობას შეხვდება. კონფერენცია სთვლის ამ კამათს ფრიად სასარგებლოთ, რომელსაც წინასწარი მუშაობის ხასიათი აქვს, ადგენს მომავალ ინტერნაციონალურ კონგრესს, რომელიც მოწვეული იქნება უფრო ნორმალურ პირობებში, გამოიტანოს თავის დადგენილება იმ კითხვის შესახებ, რომელიც აინტერესებს მთელ კაცობრიობას ომის პასუხის-მგებელთა შესახებ".

ამ რეზოლუციამ ინციდენტი გამოიწვია. ტომა გაიძახოდა—გერმანელები ვერ გადაურჩებიან პასუხისმგებლობასო. თავმჯდომარე ბრანტინგმა რენოდელს სიტყვა არ მისცა. ფრანგ მილიემ განაცხადა, რომ ის წინააღმდეგია რეზოლუციის. რეზოლუცია უკანასკნელის გამოკლებით ერთხმად იქნა მიღებული.

ტერიტორიების განსაზღვრა.

მოხსენება ამ კითხვის შესახებ გააკეთა ფრანგმა მისტრალმა, რომელმაც თავისი მოხსენება დაასკვნა შემდეგი დებულებებით: 1) სადავო ადგილების გადაწყვეტა პლებისციტით უნდა მოხდეს, 2) დაგმობილ უნდა იქნას ანექსია, რომელიც მოთხოვნილ იქნება ეკონომიური, ისტორიულ და სამხედრო მოსაზრებებით. შეიდემანელები მოითხოვენ ელზას-ლოთარინგს მიეცეს უფლება თვით გადაწყვიტოს თავისი ბედი. ელზასის წარმომადგენელი გრუმბახი აღნიშნავს, რომ პლებისციტი იქ არ არის საჭირო. კაუცკი აღნიშნავს, რომ, ეჭვს გარეშეა, რომ პლებისციტით ელზასი საფრანგეთს დარჩება, მაგრამ მისი მოხდენა მაინც საჭიროა.

ლონგე, საფრანგეთის უმცირესობის სახელით აღნიშნავს, რომ შეიდემანელებს ბრალი მიუძღვით ბრესტის და ბუქარესტის ხელშეკრულებებში, მაგრამ გერმანელების უმრავლესობის გამორიცხვა ინტერნაციონალიდან შეუძლებელია. თუ ასე მოვიქცევით, მაშინ სხვების გამორიცხვაც მოგვიხდება. ვინ გამორიცხვა—კითხულობს რენოდელი. ლონგემ არ უპასუხა.

ნეიტრალურ სახელმწიფოების წარმომადგენლები მოითხოვენ კითხვა გადაეცეს კომისიას, რაც მიღებულ იქნა. კომისიამ ერთხმად დაადგინა, რომელსაც მიემხრნენ ყველა ფრანგი დელეგატებიც.

ახალშენები.

ახალშენების მომავალ ბედის შესახებ მოხსენებებს აკეთებენ ინგლისელების „ლეიბორ პარტიის" (მუშათა პარტია) წარმომადგენლები. ისინი მოითხოვენ გერმანიის ახალშენები ხალხთა ლიგის კონტროლს დაუმორჩილდეს. ამავე აზრს ადგენენ გერმანელებიც, ინგლისელები მოითხოვენ ეგვიპტის და ირლანდიის ავტონომიას. მუშაობა კონგრესის ნაყოფიერათ მიმდინარეობდა, მაგრამ რენოდელმა შეიტანა შემდეგი დამატება, რომელმაც აღელვება გამოიწვია კონფერენციაზე: „იქ, სადაც სისტემატიურად აწყვეტდენ ზოგიერთ ერებს და სადაც პლებისციტი დაამყარებდნენ ან ძალადობას, ხალხთა ლიგამ ამა თუ იმ გადაწყვეტილების შესახებ მიიღოს ყველა ეს მხედველობაში და ზოგჯერ პლებისციტი უარყოს. ეს კითხვა გადაეცა კომისიას.

ბოლშევიზმი

ინგლისელმა მაკდონალდმა გაილაშქრა ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

„მე, სთქვა ორატორმა, ვარ წინააღმდეგი და ვგმობ იმ მართველობის მეთოდებს, რომელიც გამეფებულია რუსეთში, მე მიმაჩნია ეს სოციალიზმისთვის საფრთხეთ. ჭეშმარიტი სოციალისტი უნდა ეყრდნობოდეს სხვა მოსაზრებას და სხვა ნიადაგს და არა [illegible] რევოლუციას, რომელიც ვერ მოუტანს თავისუფლებას ყველას, არ არის ნამდვილი რევოლუცია. სოციალიზმის მიზანია აღმაშენებლობა და არა დანგრევა. საბრძოლო წყობა ბოლშევიზმისა არის სილაჩრე და თუ არ მივიღებთ ზომებს შევამსუბუქოთ მუშათა მდგომარეობა ცენტრალურ ევროპაში, ის აქაც გავრცელდება.

გაიმართა კამათი ამ საკითხის გარშემო. ბოლშევიზმის დამცველები მოითხოვენ ამ კითხვის გადადებას „ყოველგვარი მასალების წარმოდგენამდე".

რენოდელი აღნიშნავს, რომ დამფუძნებელი კრების გარეკვა და ყველა დანაშაული კომუნისტებისა ჩვენთვის ცხადია.

„შენ ლაპარაკობ როგორც ბურჟუა", უყვირის მას [illegible]. „პოლიტიკანი", იძახის [illegible].

ლონგე აცხადებს, რომ ის წინააღმდეგია ყოველგვარ რეაქციის, რომელიც გაამართლებს ლოიდ ჯორჯის და კლემანსოს წარმოებულ პოლიტიკას საბჭოების წინააღმდეგ. ფრანგი [illegible] სთვლის მეორე ინტერნაციონალს მკვდრათ.

ამბობს ორატორი,—თქვენ სოციალ

დღეს

ახალციხის ფრონტზე ოსმალებმა გადმოლახეს ფოცხოვის რაიონიდან ჩვენი საზღვარი და შემოტევა დაიწყეს. ჩვენი ჯარიც იძულებული გახდა შეტევაზე გადასულიყო. ჩვენმა ჯარმა წამოიყვანა ტყვეები, ხელთ იგდო სამხედრო ნადავლი და სამხრეთისაკენ წინსვლას განაგრძობს.

საზავო კონფერენციაზე უთანხმოებას იწვევს მონაწილეებში ზარალის ანაზღაურების საკითხი.

ყირიმის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარები წინ მიიწევენ.

ბოლშევიკების ცნობით გერმანიაში გაფიცვები და ზოგიერთ ადგილებში აჯანყებები გრძელდება.

ბავარიაში საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადება გერმანულ პრესის აზრით ჯერ არ მომხდარა.

ინგლისური პრესის ცნობით არხანგელის ფრონტზე მოკავშირეთა ჯარებმა ბოლშევიკები დაამარცხა.

შოვინისტები, ამართლებენ ლიბკნეხტის მკვლელებს და კიცხავენ ბოლშევიკების ლიდერ ცდას. თქვენ ლაქიები ხართ ბურჟუაზიის. რადგანაც ეხლა უჭერთ ვილსონის პროგრამას, რომელიც ამერიკელ მილიარდერების ინტერესთა გამომხატველია.

დიდი ყურადღებით მოისმინეს რუს დელეგატ აქსელროდის და რუბანოვიჩის სიტყვები. აქსელროდმა სხვათა შორის სთქვა: რაც არ უნდა ითქვას ბოლშევიკების ექსცესების შესახებ, ყველაფერს მაინც ვერ აღწერს. ის კითხულობს დოკუმენტს, რომელიც მას მიუღია პეტროგრადის ამხანაგებისაგან: ბავშვები შიმშილით იხოცებიან, ქარხნები გაჩერებულია, მუშების მდგომარეობა აუტანელია, ისინი ითხოვენ პურს—მათ კი ტყვიებით უმასპინძლდებიან. აქსელროდი მოითხოვს გაიგზავნოს რუსეთში სპეციალური კომისია ადგილობრივად ყველა პირობების გამოსარკვევათ. რუბანოვიჩი აკრიტიკებს საბჭოთა მთავრობას სოციალიზმის პრინციპების თვალსაზრისით.

რუს დელეგატების მოხსენების შემდეგ კონფერენციამ აღარ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მზათ იყო და რომლითაც ჰკიცხავდენ რა ბოლშევიკებს, ამასთანავე მოითხოვდენ, რომ რუსეთის საქმეებში არავითარი გარეშე შეიარაღებული ძალა არ ჩარეულიყო. გადაწყდა გაიგზავნოს დელეგაცია რუსეთში ადგილობრივ პირობების შესასწავლად.

უკანასკნელი ცნობები

სამხედრო მოქმედება ახალციხის მაზრაში.

(7 აპრილის ცნობა).

ახალციხის რაზმის უფროსი გენერალ კვინიტაძე ატყობინებს გენერალურ შტაბს, რომ თათრებმა ხელახლა გადმოლახეს ფოცხოვის რაიონიდან ჩვენი საზღვრები და განაახლეს სამხედრო მოქმედება. 4 აპრილს შეიარაღებული თათრები ჩამოვიდენ მთებიდან და დაიპყრეს სოფ. ხონა, რომელიც მდებარეობს ახალციხის მაზრაში. ახალციხის რაზმი იძულებული იყო გადასულიყო შეტევაზე. და დაიპყრო ჯაგიმანი, ხილვანი, პეტრობანი. ტყვეთ წამოიყვანეს 60 კაცამდე. გამოირკვა, რომ ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ არტაანის ოლქის ჯარები.

7 აპრილს ჩვენმა ჯარის ნაწილებმა განაგრძეს წინსვლა სამხრეთისაკენ. 12 საათზე დაიპყრეს სოფ. გნეკევი, ჩანჩახი, საკირე. ენიკევის რაიონში ჩვენ ხელთ ვიგდეთ სამი ზარბაზანი. დიგურში ადგილობრივ მცხოვრებლებმა მოჰკლეს ასკერების მეთაური მუსაკიევი, ასკერებმა სამაგიეროთ მოჰკლეს ახმეტბეგ მეც-ბაშიძე და მისი შვილი. ჩვენი ჯარების წინსვლა გრძელდება.

ახალციხიდან პოლკოვნიკი გედევანიშვილი ატყობინებს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს: 8 აპრილს მე 6 პოლკმა ლეგნურში ხელთ იგდო საწყობი. წამოვიღეთ 5 ტყვიისმფრქვეველი, 25 ვინტოვკა, 18 ყუთი ზარბაზნის ყუმბარა, 6 ყუთი ხელის ყუმბარა და აუარებელი თოფის ტყვიები.

ახალქალაქი. 9 აპრილი. ახალქალაქის გლეხთა საბჭომ 6 აპრილის სხდომაზე დაადგინა: რადგან დადგა დათესვის დრო, რომელიც უნდა გათავდეს 1 მაისს, ვინაიდან საქართველოს მთავრობას, რაც შეიძლება მოკლე ხანში მიაწოდოს მცხოვრებთ და ლტოლვილთ სათესი ხორბალი და ან მისცენ საშუალება შეიძინონ ის. ხორბლის შეძენის ერთ საშუალებათ საბჭო თვლის მთავრობამ ინგლისის და ამერიკის მისიებს დახმარება სთხოვოს ხორბლის შესაძენათ, ან სესხებით და ან ამ მისიების მიერ ლტოლვილთათვის ჩამოტანილ და ახალციხიდან ართვინის ოლქში გაზიდულ რამოდენიმე მილიონი ფუთი ხორბლის მიცემის მიზნით.

ახალციხე. ახალციხის მაზრის მიწის მუშათა დეპუტატების საბჭომ 7 აპრილის სხდომაზე დაადგინა ეთხოვოს მთავრობას ფოცხოვი გაწმენდილ იქნას ყველა მავნე ელემენტებისაგან, რომლებიც თავიანთ ბატონობის შესანარჩუნებლათ არავითარ პროვოკაციულ საშუალებას და ძმათა შორის სისხლის ღვრას არ ერიდებიან. 2) ეთხოვოს მთავრობას დაუყოვნებლივ გამოგზავნოს მიწის მიმღები კომისიები, ვინაიდან მთელი მაზრის მიწის მუშები დიდი ნებით მოითხოვენ მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარებას. 3) ვიღებთ რა მხედველობაში, რომ დამფუძნებელ კრებას დიდი პოლიტიკური და ისტორიული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით მშრომელ ხალხისთვის და ჩვენ კი შევადგენთ განუყოფელ ნაწილს საქართველოს დემოკრატიისას, ჯერაც არ მიგვიღია არჩევნებში მონაწილეობა ოსმალეთის ემისრების, ზოგიერთ ბეგების და ავანტიურისტების წყალობით. ამიტომ ეთხოვოს მთავრობას ჩვენც მოგვცეს საშუალება არჩევნებში მონაწილეობის მიღებით ქვეყანას ვაცნოთ, თუ რა გვსურს ჩვენ, რის შემდეგ ძალაუნებურათ უნდა დადუმდენ ყველა ჩვენი მოღალატენი. 4) ეთხოვოს მთავრობას მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს ახალციხის მუშათა საბჭოს, რადგანაც ამ ჟამად მრავალი სამუშაო აქვს და უსახსრობით საქმე ბრკოლდება.

ოზურგეთი. 9 აპრილი. 6 აპრილს მომხდარი მკვლელობა ხიდისთავის ფოსტის უფროსის თოიძის ცოლისა უკვე აიხსნა. გატაცებული ფული და მარკები აღმოაჩინა მაზრის კომისარმა ლორთქიფანიძემ ფოსტის შენობის სარდაფში [illegible] ქვეშ მიწაში დამარხული. სარდაფის კლიტე აღმოაჩნდა თვით ფოსტის უფროსს თოიძეს, რომელიც გამოტყდა, როგორც ცოლის მოკვლაში, ისე ფოსტის გაძარცვაში. დაკარგული ფული და მარკები სულ ორი ათას მანეთამდე [illegible] იპოვის.

დამფუძნებელი კრება

8 აპრილის სხდომა

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

მდივანი ქ. ჯაფარიძე კითხულობს კომისიებში გადასაცემათ შემოსულ კანონპროექტებს. სათანადო კომისიას გადაეცა აგრეთვე კანონპროექტი მოსამსახურეთათვის ავანსათ ფულის მიცემის შესახებ.

რ. არსენიძეს წინადადება შეაქვს, რომ კანონპროექტი მოსამსახურეთათვის ავანსათ ფულის მიცემის შესახებ სათანადო კომისიამ სასწრაფოთ განიხილოს და შემდეგი სხდომისათვის წარმოუდგინოს დამფუძნებელ კრებას. არსენიძის წინადადება მიღებულ იქნა.

სარედაქციო კომისიის სახელით თადია სოლოლაშვილი კითხულობს წინა სხდომაზე მიღებულ კანონპროექტების საბოლოო ტექსტს, რომელსაც კრება ამტკიცებს.

გრძელდება რეგლამენტის განხილვა მუხლობრივად. მომხსენებელია ი. ბარათაშვილი. რეგლამენტის ყველა მუხლები კრებამ გაარჩია და თითოეულად მიიღო. რეგლამენტიც მთლიანად დამტკიცდა.

სოც.-დემოკრატების წინადადება მცირე კომისიების არჩევის შესახებ.

მდივანი კითხულობს შემდეგ წინადადებას, სოც.-დემოკრატიული ფრაქციის მიერ შემოტანილს: წინადადება მიეცეს დამფუძნებელ კრების ყოველ კომისიას გამოყოს თავის წრიდან მცირე კომისია.

მცირე კომისიის მოვალეობა იქნება სათანადო ცენტრალურ უწყებებში მოახდინოს, როგორც შტატების, ისე ფაქტიური მდგომარეობის და საქმიანობის რევიზია. ინსტრუქციას მცირე კომისიისათვის იმუშავებენ სათანადო კომისიები.

თუ მცირე კომისიები საჭიროდ დაინახავენ განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობას, ამა თუ იმ ზომის მისაღებად, ასეთი უფლება უნდა გამოითხოვონ დამფუძნებელ კრებისაგან.

რ. არსენიძე (ს.-დ.) დამფუძნებელი კრების მთავარი დანიშნულებაა მოამზადოს ის აპარატი, რომელიც უძღვება სახელმწიფოს. დამფუძ. კრება ერთის მხრით იმუშავებს კონსტიტუციას, მეორეს მხრით კი ქმნის იმ აპარატს, რომელმაც ეს კონსტიტუცია ცხოვრებაში უნდა გაატაროს. ჩვენი პირველი სიტყვა იყო მმართველობის გამარტივება. რომ ეს სასწრაფოთ და მიზან შეწონილად მოხდეს, საჭირო გამოირკვეს ყველა ცენტრალურ დაწესებულებებში იმისა, თუ როგორია შტატი, რას აკეთებენ მოხელე მოსამსახურენი, როგორია იყო მათი საქმიანობა და სხ. უნდა გამოირკვეულ იქნეს აგრეთვე რაც ორი რეორგანიზაცია უნდა მოხდეს დაწესებულებებში; ამისთვის კი საჭირო ყოველმა არჩეულმა კომისიამ გამოყოს თავის წრიდან მცირე კომისიები, რომელნიც მოახდენენ სათანადო ცენტრალურ უწყებებში როგორც შტატების, ისე ფაქტიური მდგომარეობის და საქმიანობის რევიზიას. ამ მცირე კომისიისათვის ინსტრუქციას შეიმუშავებს სათანადო კომისია.

ლ. შენგელაია (ს. რ.) წინააღმდეგია სოც.-დემოკრატიული ფრაქციის წინადადების და მოითხოვს ცენტრალურ დაწესებულებების სარევიზიოთ არჩეულ იქნას საგანგებო კომისია პარიტეტულ ნიადაგზე.

ი. ბარათაშვილი. (ს. ფ.) მოითხოვს რომ არჩეულ იქნას არა ერთი, არამედ—რამდენიმე საგანგებო საკონტროლო კომისია სხვა და სხვა დარგისათვის.

რ. არსენიძე. კითხვა მარტივად დგას. ჩვენ კომისიას ვირჩევთ იმისათვის, რომ გამოარკვიონ სიმართლე, თუ რამდენათ შეიძლება შტატების შემოკლება. ეს კი დღეს გვჭირია. საგანგებო კომისია ჩვენ უნდა ავირჩიოთ განსაკუთრებულ მოვლენის გამო, როცა ბოროტ-მოქმედებას, ან სხვ. რაიმე განსაკუთრებული ხასიათის ფაქტი—საბუთი გვექნება ხელში. დღეს კი ნორმალური მდგომარეობა და სპეციალური კომისიის არჩევა საჭირო არ არის.

ს. დემოკრატების წინადადება მიღებულ იქნა.

რ. ჩიხლაძეს ს. დემ. ფრაქციის სახელით წინადადება შეაქვს, არჩეულ იქნას ორი კომისია: სამეურნეო და საბიბლიოთეკო.

სამეურნეო კომისიაში არჩეულ იქნენ: ს. დემ.—ან. სალუქვაძე, ი. კობალიშვილი, ს. თევზაძე, ვ. წულაძე. ასათიანი ალ. (ერ. დემ.). ი. გედევანიშვილი (ს. ფ.), ივ. გობეჩია (ს. რ.).

საბიბლიოთეკო კომისიაში. ს. დემ.: სოლოლაშვილი ილია, იმნაიშვილი ნ. ბიჭული პ., რუხაძე ლ., ნუცუბიძე შალვა (ს. ფ.) თაყაიშვილი ექ. (ნ. დ.) და ილ. ნუცუბიძე (ს. რ.).

შემდეგი სხდომის მოწვევა მიენდო პრეზიდიუმს. ა. ხ.

მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტი

(მოწოდება საზოგადოებისადმი).

ერთ წელზე მეტია, რაც საქართველოს საუკეთესო ნაწილი, ძველი მესხეთი და ჯავახეთი მუდმივი ომის ცეცხლში გახვეული. ჩვენი კულტურის აკვანი, საქართველოს თვალ-მარგალიტი, საუკუნეების განმავლობაში ითელებოდა ოსმალეთის ტლანქი ჩექმებით, რამაც დასცა მესხეთის კულტურა, ნანგრევებათ აქცია თვალწარმტაცი კუთხე და მესხ-ჯავახელებს წილად ხვდა დაუსრულებელი ტანჯვა და ცრემლები.

დღეს ეს მხარე საშინელ სურათს წარმოადგენს. მთელი ჯავახეთი გაძარცვულია და ნახევრათ გადამწვარია. ოსმალებმა გაიტაცეს ჯავახელთა ოფლით მონაგარი სარჩო-საბადებელი, ცეცხლსა და მახვილს მისცეს გლეხკაცობის სახლკარი, ხოლო მრავალი ამოწყვიტეს და უპატრონო ბავშვები ობლებათ დაყარეს.

არა ნაკლები დღე დაადგა ახალციხის მაზრას. ჯერ იყო და შარშან სრულიად გააჩანაგეს ოსმალეთის ჯარებმა 15 ქართული სოფელი. ნაწილი ქართველებისა ჯავახეთით ბაკურიანის ტყეებს შეეხიზნა, ხოლო მეორე ნაწილი დარჩა ღვთის ანაბარათ ოსმალთა ხელში, რომელთა ცხოვრება ეხლა თვის განმავლობაში წარმოადგენდა საწამებელ საკანს.

ჩვენმა ისტორიულმა მტრებმა ესეც არ აკმარეს. ბაკურიანის ტყეებში დახიზნული ლტოლვილები, უპატრონო ობლები, გაეშურენ თავის კარ-მიდამოში, მაგრამ ფოცხოვის ავანტიურამ ერთხელ კიდევ აწამა ისედაც უბედური განაწამები ხალხი. დღეს დარბეულთ და უპატრონოთ ქართველ მესხიანებიც მიეშურნენ.

ყველა ამათ დახმარება უნდათ.

ეხლა თესვის დროა, მიწები უნდა დაიმუშაონ, რომ მომავალში კიდევ შიმშილში არ ჩაცვივდეს ხალხი.

მთავრობამ გადაწყვიტა ყოველმხრივ ხელი შეუწყოს განაწამებ ხალხის ტკივილების განკურნებას, დაეხმაროს მათ რითაც კი შეუძლია.

მარა მარტო ეს არ კმარა. ორი დიდი მაზრა, ორი უძველესი კუთხე საქართველოსი დღეს იღუპება და მას უდაბნოთ გადაქცევა მოელის, თუ ჩვენ დროზე არ მივეშველეთ. ობოლი ბავშვების ცრემლიანი თვალები ცას წვდება, გლოვის ზარი გაისმის ამ ოდესღაც მხიარულ და მომხიბვლელ კუთხეში.

ქართველმა საზოგადოებამ აქ ჩვეულებრივი გულ-მხურვალებით და გატაცებით უნდა მოკიდოს ხელი თავისივე ძმების შიმშილისაგან დახსნის საქმეს. საზოგადოებრივმა ინიციატივამ უნდა გამოიჩინოს აქ თავი, რომ მთავრობას საშუალება მისცეს გადაარჩინოს ეს მხარე შიმშილით სიკვდილს.

აი სწორედ ამ მიზნით ჩვენ განვიზრახეთ თფილისში და საქართველოს სხვა დაბა ქალაქებში „მესხეთ ჯავახეთის დამხმარე კომიტეტის" დაარსება, რომლის დანიშნულება იქნება დაუყოვნებლივ ზომები მიიღოს დაშიმშილთა გამოსაკვებათ.

დღეს, ხუთშაბათს ექვს საათზე გოლოვინის პროსპექტზე, სახლი № 24, იქ, სადაც მეომართა დამხმარე კომიტეტი იყო მოთავსებული, არის დანიშნული „მესხეთ ჯავახეთის დამხმარე კომიტეტის" დამფუძნებელი კრება.

ჩვენ მივმართავთ საზოგადოებას თხოვნით, რომ ყველა იმან, ვისაც შესტკივა გული ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მხარეზე და ამ საქმეში შეუძლია რაიმე დახმარება გაგვიწიოს, მობრძანდენ დანიშნულ საათზე ამ ბინაზე, რომ სასწრაფოთ შევუდგეთ საქმეს და ხალხი შიმშილით სიკვდილს გადავარჩინოთ.

მოქალაქენო, მესხეთი და ჯავახეთი შველას ითხოვს, ნუ დაგვიგვიანდებით, რომ ხვალ აწყვეტილი ობლები უპატრონოთ [illegible] დანგრეულ სოფლებში და პური უნდათ.

მანდილოსნებო, თქვენ არა ერთხელ მოგიწონებიათ მზრუნველობით ობლებისა და უპატრონოთ. დაწყლულებული ავადმყოფები, ვიდრე ომში დაღუპულთა ოჯახებამდე, თქვენ მიდიოდით ამ უპატრონო ხალხთან და მზრუნველ დახმარებით უმსუბუქებდით მწარე ტკივილებს. მესხ-ჯავახელებიც დღეს ეხლა შველას ითხოვენ თქვენგან.

არ დაგვავიწყდეთ, რომ დღეს „მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტის" დაარსების დღეა. მოიხადეთ თქვენი მოქალაქეობრივი მოვალეობა.

დამფუძ. კრ. წევრები: ი. გომართელი, პ. სურგულაძე, ქ. შარაშიძის ასული, ლ. რუხაძე, ალ. მიქელაძე.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

9 აპრილი

ბოლშევიკების ცნობანი.

მოსკოვი. ატამან გრიგორიევის ჯარმა ოდესის დაპყრების დროს ხელთ იგდო მრავალი სამხედრო ღალა და მრავალი ტყვე წამოიყვანეს. მცხოვრებნი ზეიმით ხვდება საბჭოთა ჯარს, რომელმაც მოახდინეთა ბრბოები მოიშორა ქალ. ქ. **ეკატერინოსლავი.** აპრ. 7. წითელმა ჯარმა მარიუპოლის და მანდრიკინის დაპყრების დროს ხელთ იგდო 6 მილიონი ფუთი ნახშირი და 50000 ფუთი კოკსი. **ნაუენი.** აპრ. 7 რურის ქვანახშირის რაიონის აჯანყებულმა მუშებმა განაცხადეს, რომ განაგრძობენ ბრძოლას მანამდე, სანამ მადაროების სოციალიზაციას არ მიაღწევენ. კრუპის ქარხნის გაფიცულმა მუშებმა გამოაცხადეს სამთო ენის გაფიცვა მუშების—თანაგრძნობის ნიშნათ. **ლიონი** აპრ. 7. ამერიკის რადიო იუწყება, რომ კვირას მოხდა საფრანგეთის სოციალისტების, 1914 წ. შემდეგ, პირველი საჯარო მანიფესტაცია. მოისმოდა ძახილი წითელი დროშა. მანიფესტაციის მოწვევის მიზეზი, რომელმაც დიდი ხალხი მიიზიდა, იყო ჟორესის მკვლელის განთავისუფლება. პროცესია, რომელიც გამართა ტროკადეროდან ჟორესის სახლისაკენ, მიდიოდა 3-დან 6 საათამდე. **ნაუენი.** აპრ. 6. [illegible] სპარტაკელებმა შტუტგარტის ახალი ყაზარმები დაიჭირეს. თხრილები გააკეთეს და ტყვიისმფრქვეველები დადგეს. **მელიტოპოლი.** აპრ. 6. წითელი ჯარი ჩონგარის და სივაშის ხიდით ყირიმის ტერიტორიაზე შევიდა. თეთრ-გვარდიელები [illegible] იხევენ. **ლიონი**, აპრ. 7. საზავო კონფერენციაზე უთანხმოებაა. მოლაპარაკებამ კრიზული ხასიათი მიიღო. თუ რამოდენიმე დღეში შეთანხმება არ მოხდა, ამ შემთხვევაში მთელ ქვეყნისადმი გამოცემული იქნება მოწოდება, რომელშიაც მოკავშირენი პასუხისმგებლობას ერთიმეორეს დააბრალებენ.

ინგლისური პრესის ცნობანი.

რადგან პრეზიდენტი ვილსონი ავათაა და ლოგინად წევს, მის მორჩენამდე ოთხთა საბჭო მასთან იკრიბება. სხდომები იმართება დილით და საღამოთი. იხილავენ ზარალის ანაზღაურების საკითხს. ასანაზღაურებელ ჯამის საბოლოო მიღების შესახებ შეთანხმება უკვე მოხდა, მაგრამ აქამდე ვერ შეთანხმდენ ამ ჯამის განაწილებაში. ამ საკითხში ამერიკა მხარს უჭერს ინგლისს და საფრანგეთს მიანდო ამ საკითხის მოწესრიგება. [illegible] ცნობით ზარალის ანაზღაურების ხელშეკრულებას დღეს შეიმუშავებენ.

ფოშმა დაასრულა მოლაპარაკება სპაში ერცბერგერთან და გერმანიის სხვა წარმომადგენლებთან დანციგში პოლონეთის ჯარის გადმოსხმის შესახებ და საღამოთი პარიზში დაბრუნდა, რომ მან მიაღწია მოკავშირეთა მიერ წამოყენებულ პირობებს.

უკრაინის პრემიერმა დაიწყო პოლონელებთან საზავო მოლაპარაკება მოკავშირეთა საშუალებით და წინადადებას აძლევს უკრაინელებს შეაჩერონ სამხედრო მოქმედება და სადავო ტერიტორიის საკითხი გადაწყვიტონ კენჭის ყრით. ხმის მიცემა იმის აზრით უნდა იქნეს საერთო და პროპორციონალური და უნდა დაუშვან ებრაელთა და პოლონელთა წარმომადგენლებიც.

ოსმალეთიდან იუწყებიან, რომ ოსმალეთი ყველა პირობებზე თანახმაა, გარდა სტამბოლის დათმობისა.

გუშინ ლონდონში ცნობა მოვიდა: ლოიდ ჯორჯს იმედი აქვს, რომ პარიზიდან ინგლისში ამ კვირაში დაბრუნდება და თემთა პალატაში მოხსენებას გააკეთებს ზავის წინასწარ პირობების შესახებ.

ხალხთა ლიგის კომისიამ დაასრულა თავისი შრომა. ამბობენ, რომ ხელშეკრულებაში იქნება 27 მუხლი მაგრამ შეცვლილი სახით და რიგით. ხვალ კომისია განიხილავს დამზადებულ პროექტს.

დღეს დადგა ახალი კრიტიკული ხანა: ვილსონმა თავის თანამშრომლებს განუცხადა, რომ არ უნდა იქნას მიღებული ისეთი დადგენილებანი, რომელნიც ეწინააღმდეგება ყველას მიერ აღიარებულ მის პრინციპებს. მიღებულ საზავო პირობებს. უმთავრესი წარმომადგენელნი საზავო კონფერენციაზე ჯერ საბოლოოთ ვერ შეთანხმდენ ტერიტორიალურ და ფინანსიურ პრინციპებში, რომელთა შესახებ ოთხთა საბჭოში კამათი იყო. ამ ხნის განმავლობაში საფრანგეთის და ინგლისის პრემიერები მტკიცეთ იცავდენ თავის მოთხოვნილებებს, რომლებიც, ვილსონის აზრით, ეწინააღმდეგება მის პრინციპებს. ასეთივე აზრისაა ის საარის ოლქის, რეინის და ზარალის ანაზღაურების შესახებ. ოფიციალური ცნობები ამის შესახებ ჯერ არ არის. გაზეთები ამბობენ: ვილსონმა დღეს განაცხადა, რომ ის ბოლომდე დაიცავს 14 მუხლის საფუძვლით განხორციელებას, რომლებიც, მისი აზრით, საჭიროა ზავის უზრუნველსაყოფათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ის კონფერენციას მიატოვებს.

სამხედრო სამინისტრო იუწყება, რომ არხანგელსკიდან მიღებული დეპეშის თანახმათ შაბათს დილით მთელი ღამის სროლის შემდეგ მოწინააღმდეგემ ჩვენს პოზიციებზე იერიში მიიტანა, მაგრამ უკუ ვაქციეთ დიდი ზარალით, მრავალია მკვდარი. ბატალიონის უფროსი, მისი ადიუტანტი და 100 ჯარისკაცი ტყვეთ წამოვიყვანეთ. ხელთ ვიგდეთ 5 ტყვიის მფრქვეველი. ჩვენი ზარალი არ მოგვსვლია.

გერმანული პრესის ცნობანი.

ბავარიის მინისტრი პრეზიდენტი გოფმანი ბერლინიდან მიუნხენში დაბრუნდა, რადგან ბავარიაში მდგომარეობა სერიოზულია.

მოსული ცნობებით, ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკათ გამოცხადება არ შეიძლება ჩაითვალოს მომხდარ ფაქტათ. მემარჯვენე პარტიები და გლეხთა კავშირი წინააღმდეგი არიან.

გერმანიაში ოფიციალური ბრძანებით რუსის სამხედრო ტყვეებს და სხვებს აეკრძალათ იარაღის შენახვა. ყველა სამხედრო ტყვეები ბეჯითად უნდა გაჩხრიკონ მთავრობის წარმომადგენლებმა. უნდა გადასინჯონ იარაღის ტარების ნებართვა. იმის და მიუხედავათ, რომ რუსეთში ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის შეთანხმება მოხდა, მენშევიკური გაზეთი დაიხურა იმიტომ, რომ ბრალს სდებდენ საბჭოთა მთავრობის კრიტიკაში და სამოქალაქო ომის შეწყვეტის აუცილებლობაში.

რუსეთის და ბავარიის საბჭოთა მთავრობამ მოლაპარაკება დაიწყო რუმინიის მემარცხენე რადიკალ მუშათა პარტიის ლიდერებთან. „სევერნაია კომუნა" მოელის უკრაინიდან გალიციაში და უნგრეთზე ავსტრიაში და ბავარიაში ბოლშევიზმის გავრცელებას. დრეზდენის და [illegible] სამრეწველოების ოლქებში დაარსეს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები.

რუსეთის საბჭომ წინადადება მისცა ბავარიას რუსეთში იყიდოს საქონელი და სურსათი.

ეროვნული ყრილობის თავმჯდომარე იწვევს დეპეშით ვეიმარში ოთხშაბათს 9 აპრილს სამ საათზე ეროვნული ყრილობის წევრებს. დღის წესრიგში პირველათ უნდა განიხილონ პროექტი სახელმწიფოს 1919 წ. მეურნეობის კანონების შესახებ.

მთავრობაში

8 აპრილის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

— წინადადება მიეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს ნაწილობრივი დახმარება აღმოუჩინოს ბათუმის ახლად გახსნილ სავადმყოფოს.

— დროებით ფოთის პორტის უფროსად დაინიშნოს უფ. ლეიტენანტი თაყაიშვილი, რომლის ხელში უნდა გადავიდეს მმართველობა, როგორც სამხედრო, ისე სავაჭრო პორტისა. იმის გამოსარკვევად, თუ რომელი უწყების ხელში უნდა იქნეს ფოთის პორტი, შესდგეს საუწყებათაშორისო კომისია სამხედრო, ფინანსთა (თავმჯდომარე) და გზათა მინისტრის წარმომადგენლობით.

1) დაევალოს სამხედრო მინისტრს ახლო მომავალში წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას კანონ-პროექტი 1919 წლის იანვრის 31-ს დროებითი წესების საერთოდ ყველა, სამშობლოს დაცვის და რევოლუციასთან ბრძოლის დროს დახოცილ და მუშაობის უნარ დაკარგულთა და მათ ოჯახებზე გავრცელების შესახებ.

2) სანამ ასეთი კანონი გამოიცემოდეს, უფლება მიეცეს სამხედრო მინისტრს პირველ მუხლში აღნიშნულ პირთ და ოჯახებს აღმოუჩინოს ნივთიერი დახმარება.

შესდგეს განსაკუთრებული კომისია სამხედრო, ფინანსთა, შინაგან საქმეთა მინისტრის და სახელმწიფო კონტროლიორის წარმომადგენელთაგან ჯარის ნაწილებიდან მცხოვრებთათვის მიყენებულ ზარალის გამოსარკვევად და მათ დასაკმაყოფილებლად.

ახალი ამბები

მილიციონერისა და გვარდიელის მოკვლა. 8 აპრილს, საღამოს 10 საათზე 1 კომისარიატის მილიციონერმა ჩიკორიძემ და სახალხო გვარდიელმა თათუნაშვილმა ბელინსკის ქუჩაზე დაატყ სადღაც მძარცველი ავეტის ფოშიშ კომისარიატში შესვლის დრ ს ბოროტ გამხრახველმა ამოიღო რევოლვერი და მოკლა მილიციონერი ჩიკორიძე და სახალხო გვარდიელი თათუნოვი და მიი მალა. გაქცევისას მკვლელმა იქვე დააგ დო პალტო, რომლის ჯიბეში აღმოჩნდა მოწმობა ქართული ლეგიონის შტაბის კაპიტანი [illegible] სახელზე.

◆ **ლტოლვილები.** ბორჯომსა და მის მიდამოებში ახალციხიდან და ახალქალაქის რაიონიდან შეგროვდა 2.20 ლტოლვილზე მეტი, რომელთაგანაც უმრავ ლესობა (1,500 კაცი) ქართველები ლტოლვილების ნივთიერი მდგომარეობა აუტანელია. სანიტარული პირობებ ცუდ მომავალს უქადის მათ. გახშირებულია სახადი და ყვავილი; საქალაქო დახმარება ძლიერ სუსტია, ახალციხე ში, სადაც 5,200 ლტოლვილი შეგროვდა, კიდევ უარესი მდგომარეობაა. ისინი ავათმყოფობით და შიმშილით იხოცებიან. ადგილობრივ კომიტეტს საშუალება არა აქვს დახმარება აღმოუჩინოს.

◆ **გაფიცვა ბათუმში.** გაზეთ „ბათუმსკია ვესტის" დახურვის გამო ნიშნად პროტესტისა 8 აპრილს ერთი დღი გაფიცვა გამოცხადდა. ყველა საგამომცემლო ბი თუ დაწესებულებები მთელი დღე დაკეტილი იყო. გაფიცვის კომიტეტი ნებართვით მოქმედებდა მხოლოდ ზოგიერთი დაწესებულება, როგორც მაგ. სამკურნალო დაწესებულებანი, ცეცხლის მქრობელი რაზმი, წყალსადენი და სხ.

◆ **ქალაქის გამგეობამ** განიხილა თხოვნები, რომლებიც წარდგენილი იყო გამგეობაში 8 აპრილამდე. მიღებულ მოსამსახურეთა სია გაკრულია ქალაქის გამგეობაში.

◆ **მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტში.** დღეს, საღამოს 6 საათზე, გოლოვინის პრ. სახლი № 24 დანიშნულია დამფუძნებელი კრება მესხეთ ჯავახეთის დამხმარე კომიტეტისა. კომიტეტის ინიციატორნი სთხოვენ დაინტერესებულ პირთ აუცილებლად დაესწრონ კრებას.

◆ **უფასო სამკითხველო.** 5 აპრილიდან ქალაქის შრომის ბირჟაში გაიხსნა უმუშევართათვის უფასო სამკითხველო. სამკითხველოში არის ყველა ადგილობრივი გაზეთები. განზრახვა აქვთ ახლო მომავალში წიგნსაცავის გახსნა. შრომის ბირჟა მიმართავს ყველა ორგანიზაციებს და კერძო პირთ, შემოსწირონ წიგნსაცავს წიგნები შრომის ბირჟაში, მადათოვის ქუჩაზე, № 11.

◆ **ხალ. უნივერსიტეტის განყოფილება.** დღეს, საღამოს 6 საათზე, გ თობის უბანში, მუშათა კლუბის შენობაში დანიშნულია სახალხო უნივერსიტეტის მეექვსე განყოფილების გახსნა. სადაც ქართულ განყოფილებათა ლექტორთა თანხმობით მუშაობა იწარმოებს უნივერსიტეტის საერთო პროგრამის მიხედვით ისე, როგორც დანარჩენ განყოფილებებში.

◆ **ლექცია.** დღეს, საღამოს 7 საათზე სახალხო უნივერსიტეტის პირველ განყოფილებაში (ნაძალადევი) დანიშნულია ორი ლექცია: 1) მარია ჩხეიძის „სამართლის ცოდნა", 2) ექ. ხოშტარიასი „ანატომიაზე".

◆ **ახალგაზრდა მარქსისტთა შორის.** დღეს მე-6-ე რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია თავის ბინაზე (სიონის ქ, № 12), ნაშ. 4 საათზე, მართავს რეფერატს. წაიკითხავს ამხ. გრ. კლდიაშვილი „ფეოდალიზმზე". ამხანაგებს ვსთხოვთ ფეხდაუვლად დაესწრონ.

◆ **დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი"**, საბ. წარმ. წრის მიერ ხუთშაბათს, 10 აპრილს, ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ, ნიკო გოცირიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „მეზობლები" ტრ. რამიშვილისა. დასაწყისი სად. საათზე.

კრებები

დღეს, საღამოს სრულ 6 საათზე მუ რის ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება.

— ხუთშაბათს, 10 აპრილს, საღამოს

ნ ს. ბიჭურის ბინაზე დანიშნულია მეოთხე რაიონული კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს, 10 აპრილს, სად. 5 ს. შესდგება მესამე რაიონის კოლექტივის მორიგი სხდომა.

— დღეს, საღამოს 5 ნახ. საათზე კოლექტივის ბინაზე დანიშნულია მე-6 რაიონული კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა ს. ს. დ. მ. პ.

საგანგებოდ მიღებული წერილები და დეპეშები.

მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას შემდეგი დეპეშები გადეცა:

ამერიკის გენერალური ელჩისაგან: მის აღმატებულებას, პატივცემულ ნ. ნ. ჟორდანიას. მოწყალეო ხელმწიფევ! მე ეს არის ესლა შევიტყვე თქვენი დიდი დანაკლისის ამბავი და თქვენ აღმატებულებას ვსთხოვ მიიღოთ ჩემი ულრმესი და უგულწრფელესი თანაგრძნობა. ხმიტი.

უკრაინის დიპლ. მისიის თავმჯდომარის კრასკოვსკისაგან. ის დიდი მწუხარება, რომელმაც თქვენ ოჯახი დაეცა, მთელი საქართველოს მწუხარებაა. მთლიანი საქართველოს მწუხარება ძალიან ახლოს ებება უკრაინას, რომელიც ნამდვილი ურთიერთობით არის დაკავშირებული საქართველოსთან: სულით, სტრატეგიული განცდით, საერთო ხალხური იდეალებით და ლტოლვილებით. უკრაინის ხალხის სახელით, გთხოვთ მიიღოთ გულწრფელი და ღრმა თანაგრძნობა თქვენს მძიმე და დიდს მწუხარებაზე. გთხოვთ მიიღოთ აგრეთვე მტკიცე რწმენა, რომ თავის სავუკუნეთსო ადამიანთა გმირულ მაქმედებით და მათი თავგადადებული შრომით, რომლებიც მე დღეი არის გადამწყვეტი პირად მწუხარებასთან, საქართველოს სამუდამოთ განამტკიცებს თავის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას. კრასკოვსკი.

კავკასიის მთიელთა კავშირის რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოში ახუნდოვისაგან: ღრმათ პატივცემულო ნოე ნიკოლაზის ძევ. ვერ გრძნობ რა პირადათ შეგეწიო თქვენ, თქვენთავის ასეთ მძიმე ჟამს, ვიღებ და გაცხადებთ ჩემს თქვენდამი გულწრფელ თანაგრძნობას თქვენი შვილის გარდაცვალებით გამოწვეულ მწუხარების გამო და გისურვებთ, რომ ნუგეში ჰპოვოთ ესოდენ დიდი შრომაში და გმირობაში, რომელიც თქვენ გზედით ილით, როგორც საქართველოს რესპუბლიკის მეთაურს და თავისუფალ ქართველი ხალხის საყვარელ ბელადს".

სპარსეთის გენერალური ელჩის ტაგიხან-მოსიზიზე დოვლეთშაჰისაგან: „მიიღეთ ჩემი გულწრფელი თანაგრძნობა თქვენი აღმატებულების თავზე მოვლენილ მწუხარების გამო".

მშობლებს და აღმზრდელებს

სახელმწიფოს შენების ხანაში, იმ დროს, როდესაც უნდა განმტკიცდეს საფუძველი თავისუფალ, დამოუკიდებელ რესპუბლიკისა, რომლის ფარგლებში თავისუფლად უნდა განვითარდეს ხალხის კულტურა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოზარდ თაობის კულტურულ მოთხოვნილებასა და საჭიროებას, რადგანაც ისინი არიან მომავლის მოქალაქენი, რომელთაც უნდა შექმნან ჩვენი ერის ისტორია და კულტურა.

ნამდვილად კი ჩვენ ბავშვებს ძალიან ცოტა სულიერ საზრდოს ვაწვდით, ისინი ღვთის ანაბარად არიან მიტოვებულნი. იმათ პირისუფალთ, მოზრდილ ადამიანებს, სხვადასხვა სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ და პირად საქმეებით გატაცებულთ, თითქოს დაავიწყდათ ბავშვები, თითქოს ვერ ჰხედავენ იმ საშინელ მდგომარეობას, რომელსაც უმზადებს მომავლის სახელმწიფოს და ხალხს მომავალ თაობის სულიერ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობა.

მართალია—არის ცოტა სასკოლო ცნობერების მოწყობისა, ნაციონალურ კულტურის განვითარების ნიადაგზე: იბეჭდება სახელმძღვანელოები, მუშავდება სწავლების პროგრამები, მაგრამ ჯერ არ არის სასკოლო ასაკის ბავშვებისა და სკოლის გარეშე ხალხის აღზრდა განათლებისთვის თითქმის არაფერი არ კეთდება.

ჩვ ნ ბავშვებს არ შეუძლიათ სკოლის გარეშე მშობლიურ ენაზე მიიღონ საჭიროსამებრი პასუხი, დაიკმაყოფილონ თავიანთი სულიერი მოთხოვნილებანი. მეტსაც ვიტყვით, საზოგადოთ არც აქვთ სულიერი საზრდო, რომელსაც შეეძლოს განავითაროს მათში მხატვრული და მოქალაქეობრივი შეგნება.

სრულიად მოუკრძალო საბავშვო წიგნების გამომცემლობის საქმე, არ არის საბავშვო ლიტერატურა, არც მხატვრული, არც პოპულარულ-მეცნიერული.

ჩვენ გვესმოდა რა დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ მიეცემოდეს საჭიროებას წარმოადგენს ბავშვებისთვის სკოლის გარეშე მშობლიურ ენის ატმოსფეროში აღზრდა განათლება და მშობლიური კულტურის გაცნობა, როგორ საჭიროა მისთვის გაეცნოს და შეითვისოს მშობლიურ ენაზე კაცობრიობის კულტურა და ამ აზრით მთელი წლების განმავლობაში გვექნდეგდით ჩვენ ჟურნალ „ნაკადულს" და იმის საშუალებით შეძლების დაგვარად პასუხს ვაძლევდით ბავშვების სულიერ მოთხოვნილებებს.

ჩვენ გვესმის დღევანდელ მდგომარეობაში, ხალხის ცხოვრების იმ მომენტში, როდესაც ის ჰქმნის თავის სახელმწიფოს, რა დიდი და აუცილებელი საქმეა მომავალ მოქალაქეთა სულიერ საზრდოსთვის ზრუნვა და მიუხედავად ყოველი დაბრკოლებისა (დაბრკოლება კი ბევრია) განვაგრძობთ ჩვენ საქმეს.

შარშან, როდესაც ჩვენი ხალხის ფიზიკურ არსებობასაც კი ყოველ წუთს საფრთხე ელოდა, როდესაც ცხოვრების ყოველ დარგის განადგურებამ იჩინა თავი, ვერ დავძლიეთ ყველა სიძნელე, საქმის მთელი სირთულე და ვერ გადავლახეთ გამომცემლობის ყველა ტეხნიკური დაბრკოლებანი. ჟურნალიც დღეიდან გამოვა წესიერად, მაგრამ, რასაკვირველია, მხოლოდ იმ პირობით, თუ მშობლები და აღმზრდელები გამოაწერენ და ხელს მოგვცემენ.

მრავალი შეკითხვა მოდის ბავშვებისაგან ჟურნალის შესახებ. ბავშვებს აინტერესებთ მათი ჟურნალის ბედი. ბავშვებისაგან წარმოდგენაზე შეგროვილი ფულიც კი მივიღეთ. მაგრამ მშობლებს მხრივ კი ჯერ თანაგრძნობა არ ჩანს. ბავშვები მოუთმენლად ელიან თავის სულიერ საკვებს, მშობლები კი მათ გულ-გრილად უცქერიან და სდუმან.

ჩვენ მივმართავთ ეხლა მშობლებსა და აღმზრდელებს. ჩვენ ბავშვებს სჭირიათ მეტადრე დღევანდელ ხანაში სულიერი საზრდო. ჩვენ ბავშვებს სწყურიათ ცოდნა. მთელი ხალხი დაინტერესებულია, რომ მომავალი თაობა სულით ძლიერი, ზნეობით სპეტაკი აღიზარდოს და თავის სამშობლოს და კაცობრიობის სამსახური ეცხებით შესძლოს.

ჩვენი ჟურნალი ამ დიდად-საყურადღებო საქმეს შეძლებისა-დაგვარად უწევს სამსახურს და თუ თქვენ, მშობლები და აღმზრდელები, ნათლად გრძნობთ თქვენი შვილების მომავალი თაობის აღმაფრთოვანებელ სიყვარულ საჭიროებას, ამ შემთხვევაში ხელს შეუწყობთ ჩვენ საქმეს, ჩვენსა და თქვენს საერთო საქმის დაბენ ბავშვებს. ყველა ჟურნალი ხელმდები ხალხის ყურადღებით, ხელის მომწერთა სიმრავლით ცოცხლობს; ამ მხრივ კი დღეს ჩვენი საბავშვო ჟურნალი „ნაკადული" დიდ გასაჭირში ჩაცვივიდილი.

ჟურნ. „ნაკადულის" რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

პროფესიონალურ კავშირთა ყრილობის გარშემო

ბაქო. ბაქოს პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლების ყრილობამ გადასწყვიტა მონაწილეობა მიიღოს პროფესიონალურ კავშირთა კონფერენციაზე, რომელიც გაიხსნება თფილისში 10 აპრილს. თფილისში წასვლის მომხრენი იყვნენ ბოლშევიკები (40 ხმა). წინააღმდეგი სოციალ-დემოკრატები (27 ხმა).

მეორე ყრილობა.

პირველი ყრილობა მოხდა 1917 წ. ეს მეორე ყრილობა გაიხსნება 10 აპრილს.

პირველი ყრილობის შემდეგ ათასნაირი ცვლილება განიცადა პროფესიონალურმა მოძრაობამ. მართალია, ყველა ცვლილებების გამო, მუშათა კლასი, მისი ორგანიზაციების სახით ამბობდა თავის ავტორიტეტულ სიტყვას, მაგრამ ზოგიერთები „პრინციპის" სახელით ხშირად ახდენდნენ განხეთქილებას და შექონდათ ანარქია მუშათა მოძრაობაში. ბოლოს თფილისი უკანასკნელი გაფიცვები. ხშირი მოთხოვნილებანი და ულტიმატუმები, ბაქოს პროლეტარიატის ვითომ განზე გადგომა და სხვა, რომლის შესახებაც თავისი უკანასკნელი ავტორიტეტული სიტყვა უნდა სთქვას ყრილობამ.

არის კიდევ ისეთი კითხვები, რომლებიც დღეგებითი მუშათა მოითხოვენ და რომლებიც დიდ მნიშვნელოვანია მუშათა კლასისათვის; ეს კითხვებია: 1) შრომის ბაზრის მოწესრიგება, 2) სიძვირე და რეგულიური სამუშაო ქირა და მრავალი სხვ. ყრილობაზე თავს მოიყრიან ძველი, გამოცდილი პროფესიონალური მოღვაწეები; ყველა ძირეულ საკითხებს ყრილობა შეიტანს პასუხს გაცემს, რაიც საჭიროებისთვის უნდა იქნეს ყველა მოიმუშოეთათვის.

არჩილ თოდრია.

გაფიცვის გარშემო

პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოში.

თფილ. მუშათა პროფეს. კავშირების ცენტრალურმა საბჭომ შემდეგი ცნობა მიიღო: ქუთაისის ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმს აქვს პატივი გაცნობოთ შემდეგი: ქუთაისის მუშათა პროფესიონალური კავშირების ცენტრალური საბჭოს და ქუთაისის ყველა მუშათა პროფესიონალურ კავშირების გამგეობების შეერთებულმა სხდომამ მოისმინა რა მოხსენება თფილისის თვითმართველობის ზოგიერთ დარგის მოსამსახურეთა გაფიცვის შესახებ და გაეცნო რა დაწვრილებით ყველა იმ პირობებს, რომელიც წინ უძღოდა ამ გაფიცვას, დაადგინა: „ქუთაისის მუშათა პროფესიონალური კავშირების ცენტრალური საბჭო, ყველა მუშათა კავშირების გამგეობებთან ერთად უყურებს რა ქ. თფილისის თვითმართველობის ზოგიერთი დარგის მოსამსახურეთა გაფიცვას, როგორც მიზანშეწონილ საშუალებას მოსამსახურეთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, უმთავრესად კი, ხედავს რა მაში ჩვენი დემოკრატიული წესწყობილებით უკმაყოფილო პირთა უკანასკნელ ცდას, მუშათა კლასის ბრძოლის იარაღით, გაფიცვით გამოიწვიონ თვით მუშათა კლასის და მისი დემოკრატიული წესწყობილების წინააღმდეგ, ჰგმობს აღნიშნულ გაფიცვას და სრულიად სამართლიანად მიაჩნია თფილისის ქალაქის საბჭოს დადგენილება გაფიცულთა ადგილებიდან დათხოვნის შესახებ. დევნილს ჩვენი დემოკრატიული წესწყობილების ყველა მტრებმა, რომ საქართველოს დემოკრატია არავის ნებას არ მისცემს, თავისი რეაქციონური თუ ანარქისტული გამოსვლებით ხელი შეუშალონ ჩვენს აღმშენებლობითი მუშაობას".

თავმჯდომარე გ. ტუხაია.

ანდრიას სახელობის ბალი

ლანჩხუთის თვითმართველობამ ანდრიას ქართველის გარდაცვალების გამო სხვათა შორის დაადგინა—გაემართოს ლანჩხუთში ანდრიას სახელობის საბავშვო ბაღი.

ბაღი გაშენდება ქალაქში ანდრიას სასაფლაოსთან. ამ მიზნით ლანჩხუთის ქალაქის თავის თავმჯდომარეობით შესდგა განსაკუთრებული კომისია. ბაღის გასაშენებლათ ქალაქმა გადასდო განსაზღვრული თანხა. ბაღის გაშენებაში მონაწილეობის სურვილი განაცხადა ჯერჯერობით ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობამ, ოზურგეთის ერობამ და ოზურგეთის სამაზრო ჩსოც-დემ. კომიტეტმა, რომლებმაც ამ მიზნით გადასდვეს თვითეულმა ათას-ათასი მანეთი.

ამავე მიზნით სანაპირო სადარაჯო რაზმის ოფიცრებმა გვირგვინის მაგიერ გადმოგვცეს ხუთასი მანეთი.

თუ ვინმეს სურვილი ექნება მონაწილეობა მიიღოს ამ ბაღის გაშენებაში ფულით თავის წვლილი გადასცეს კომისიის თავმჯდომარეს ლანჩხუთში, ან თფილისში „ერთობის" რედაქციაში კომისიის წევრს გრ. ურატაძეს.

ანდრიას სახელობის ბაღის გამშენებელი კომისია.

დ. ლანჩხუთი.

სასწავლებლებში

მეორე ვაჟთა გიმნაზიის შენობაში მოთავსებულია პედაგოგიური მუზეუმი. ამ მუზეუმის დანიშნულებაა — ემსახუროს სწავლა-განათლების საქმეს. შიგ ბევრი ძვირფასი კოლექცია არის, რითაც მასწავლებელს ეძლევა საშუალება დააკმაყოფილოს მოწაფეთა ცნობის მოყვარეობა და შესძინოს მათ საჭირო ცოდნა. ბუნების მეტყველებაში და გეოგრაფიაში უსათუოდ საჭიროა მუზეუმის დახმარება, მაგრამ მუზეუმით სარგებლობა ამჟამათ შეუძლებელია. წინად მუზეუმი ყოველ დღე დილის 9 საათიდან 2 საათამდე ღია იყო, ახლა კი ის თითქმის მუდამ დაკეტილია. მუზეუმის გამგე არ შეწუხებულა და არ გაუკრავს განცხადება, თუ როდის არის ღია მუზეუმი. იმედია, მუზეუმს მთავრობას ყურადღებას და ჩვენც მოგვეცემა საშუალება მუზეუმით სარგებლობისა.

მასწ. პ. ხუცურლიძე.

მოვალეობის მსხვერპლნი

დოკინტი ბამ-ოკალაშვილი

ახალციხის ფრონტზე სიღნაღის სახალხო გვარდიის რაზმს გამოაკლდა ხელმძღვანელი, საერთო საქმისთვის თავდადებული, მუშა ხალხის ქომაგი დოლმენტი გამრეკელაშვილი.

ჩვენთვის გვარდიელებისათვის მისი დანაკლისი აუნაზღაურებელია. ჩვენ, გამოვსთქვამთ რა ღრმა მწუხარებას ჩვენი შტაბის უფროსის დაკარგვას გამო ვსდებთ ფიცს, რომ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ იმ იდეალებისათვის, რომელსაც დოლმენტი ემსახურებოდა და ძარს არ დაუშვებთ იმ დროშას, რომელიც ჩვენ დაგვიწყობა მეთაურმა ჩაგვაბარა!

სახალხო გვარდიის სიღნაღის რაზმის მონდობილობით რაზმის უფროსი, პოლპორუჩიკი გიორგი დოჩვერი.

ჯარს და გვარდიას

მეომრებო! სალამს გითვლით!
სალამს ნათელ მზიანს,
იმედიანს,
ხალისიანს,
ბრძოლის ყიჟინიანს!
— —
სალამს გითვლით და გისურვებთ
მტერზე გამარჯვებას,
რესპუბლიკის განმტკიცებას,
სრულს თავისუფლებას!

გ. ქუჩიშვილი.

ძაპიტანი გიორგი მიქელაძე

კიდევ ერთი ამამიანი მოკვტაცა მტრის ტყვიამ.

სულ რამოდენიმე თვე იქნებოდა, რაც გიორგიმ სამსახური დაიწყო საპიროთა ბათალიონში. თავიდანავე გიორგის გუნდის უფროსობა უბოძეს. მან მეორე დღესვე თავის გუნდით გასწია ომში სომხეთის წინააღმდეგ და გმირულად ასრულებდა თავის მოვალეობას, რისთვისაც იგი პირადათ მინისტრისაგან შემდეგ ჩარისხზე იყო წარდგენილი. გათავდა ომი და ბათალიონში დაბრუნებისთანავე გიორგი დღე და ღამე ჯარისკაცებთან მეცადინეობდა. უკანასკნელად, როდესაც ახალციხის მხარეში თავისუფლების მტრებმა აჯანყება დაიწყეს, გიორგიც თავის საპიონერო გუნდით გაგზავნილ იქნა ახალციხეში. უკან დახევის დროს საპიროთა ბათალიონის პირველი საპიროთა გუნდი გიორგის ხელმძღვანელობით გმირულად ებრძოდა მტერს, მან თავისი გმირული ბრძოლით გადაარჩინა ბევრი სახელმწიფო ქონება და იარაღი, მან დაამტკიცა თავისი ბრძოლით სიყვარული სამშობლოსა და ხალხისადმი. სთქვენი იყოს ხსენება შენი დაუვიწყარო, ძვირფასო მასწავლებელო.

ჯარის-კაცი აკაკი ფუტკარიძე

ქართ. სამუსიკო საზოგადოება

31 მარტს, ქართ. სამუსიკო საზოგადოების მორიგ კრებაზე მოხსენება გააკეთა ილ. აბაშიძემ, რომელშიაც ვრცლად აღწერა საერთოდ ხელოვნების მნიშვნელობა კაცობრიობის ცხოვრებაში და კერძოთ მუსიკისა.

მუსლობრივათ გარჩევის შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული ილ. აბაშიძეს შემდეგი რეზოლუცია:

ქართ. სამუსიკო საზოგადოებას მიზნათ აქვს დასახული:

1) შეაკრიოს ქართული ჰანგები, შეამუშაოს, მისცეს ქართველური თვისება და დაახლოვოს საქართველო ევროპასთან. ამასთანავე მიაჩნია, რომ ეროვნულ შემოქმედებას ეტნოგრაფიულ ხასიათით ხშირად ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს, რომელსაც დიდი ინტერესი აქვს მიქცეული, მაგრამ თავის საზღვრებს ვერ გასცდება, რადგან იგი შემოფარგლულია ადგილობრივ ფერადობით. ამისათვის, თუ ქართულ მუსიკის ხელოვნებას უნდა მიაპოვოს საერთაშორისო ახპარეზი, საჭიროა გადართოს შემოქმედების ბრწყინვალე. მაშასადამე, გარდა ადგილობრივ-ეტნოგრაფიულ სტილთან, შეაერთებულ ცოდნით, რომელსაც უნდა გვეს მუსიკალური ტეხნიკა და ევროპული მეცნიერება, შეუფარდოს ეს ტეხნიკა ქართულ მუსიკას.

მოკლეთ, შეიქმნას ისეთი მუსიკა, რომელიც ერთნაირი სიამოვნებით დატკბობს როგორც ქართველის, ისე ევროპიელის სმენას.

2) ქართ. სამუსიკო საზოგადოება აუცილებელ საჭიროებათ სცნობს, რომ მუსიკა საუკეთესო შუამავალია ცხოვრების მოუხეშავ და ტლანქ პირობებისა, დიდი აღსაზრდი მნიშვნელობა აქვს მუსიკის დემოკრატიზაციას, ე. ი. გავრცელდეს ხალხში და ყველა დარგში წმინდა, კეთილშობილ მუსიკა, მიაჩვიოს და გაანვითაროს ესთეტიური მხარე ჩვენ ერში.

3) ქართ. სამუსიკო საზოგადოება აღნიშნავს, რომ, თუ დღემდე ეს ხელოვნების დარგი მოუწესრიგებელი იყო, ესლა ჩვენმა მთავრობამ უკვე მიაქცია სათანადო ყურადღება და რადგან საქართველოს ერთად ერთი უმაღლესს სამუსიკო ორგანოს შეადგენს ქართ. სამუსიკო საზოგადოება, ამისათვის დაადგინა:

1) რაიმე სამუსიკო კითხვის გადასაწყვეტად აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მოწვეულ იქნეს ქართ. სამუსიკო საზოგადოების გამგეობა, როგორც ერთად ერთი საქართველოს კომპეტენტური დაწესებულება.

2) ქართულ სამუსიკო საზოგადოებას უნდა ეკუთვნოდეს ყოველი მუსიკალური ვითარება ყველა დარგის სასწავლებლებში.

შენიშვნა: დაწყებითი, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში.

3) ქართ. სამუსიკო საზოგადოება უნდა გაზრდილი ოპერის შემადგენლობას, სიმფონიურ, სხვა დარგის მუსიკის ორგანიზაცია და საერთოდ ხალხის სამუსიკო-კულტურულ განვითარებას.

4) ქართ. სამუსიკო საზოგადოებას უნდა ჰყავდეს თავის წარმომადგენელნი დამფუძნებელ კრების „ხელოვნების კომისიაში", რომელნიც მოწვეულნი იქნებიან კომპეტენციის საშუალებით.

ეს მოხსენება მიერთვა დამფუძნებელ კრებასთან არსებულ „ხელოვნების კომისიას" დასამტკიცებლად.

ს.-დემ.-პარტიაში

ძ. თფილისი. 1 აპრილს შესდგა ქუკიის მეე-კოლექტივის მორიგი სხდომა, რომელსაც დაესწრნენ შემდეგი წევრები: კ. ლაბაური, ნ. ლღუაა, ს. ქიტიაშვილი, დ. გორგაძე, ივ. ყანდაშვილი, გოზალოვი, ხანდოლიშვილი და კოკაია. დღის წესრიგი: პრეზიდიუმის არჩევა, პარტიული საკანცელარიო ნივთების შეძენა, თავმჯდომარის მოხსენება, სექციების არჩევა და მორიგი კითხვები. სხდომამ ერთხმად აირჩია ხუთი კაცისაგან შემდგარი პრეზიდიუმი. პრეზიდიუმის წევრნი: კ. ლაბაური (თავმჯდომარედ), ნ. ლღუაა (თავმჯდ. ამხანაგი), ც. დარახველიძე (მდივანი), სტ. დ. გორგაძე (მდ. ამხანაგი) და ს. ქიტიაშვილი (ხაზინადარი).

სხდომამ ითათბირა საკანცელარიო ნივთების შეძენის შესახებ და დაადგინა: დავავალოს პრეზიდიუმს მიმართოს კოლექტივის ბიუროს ნივთებისთვის და შეძენილ იქნეს შემდეგი სხდომისთვის ყველა საჭირო საკანც. ნივთები. თავმჯდომარე მოხსენებას აკეთებს კუკიის უბნის ლეჩნების და წვრილმან საწარმოს კერძოობით დაკეტვის შესახებ. მომხსენებელს აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია, ექვსი დღის მუშაობის შემდეგ, მეშვიდე დღე დაისვენოს მუშამ და ეს დრო მოახმაროს გონებრივ განვითარებას. ის მუშები და ახალგაზრდა მოსამსახურენი, რომელნიც მსახურებენ ლეჩნებსა და წვრილმან საწარმოებში, თუ კვირაობით განთავისუფლებული იქნენ ფიზიკურადაც დაისვენებენ, ერთად ივლიან მუშათა კლუბებსა და წიგნთსაცავ-სამკითხველოებში, საერთოდ იმეცადინებენ თვითგანვითარებისათვის, რაც აუცილებლად საჭიროა მათთვის. სხდომამ ითათბირა მოხსენებულის შესახებ და დაავალა თავმჯდომარეს შრომის მინისტრთან მოხსენების გაკეთება და ამ საქმის მოგვარება. ამხ. ლღუაას წინადადება შეეძლება არჩეულ იქნეს სექციები, რომლებიც მოაწყობენ კლუბისა და კოოპის საქმეს, სხდომამ მიიღო წინადადება, მხოლოდ სექციების არჩევა გადაიდო შემდეგი სხდომისთვის იმ მიზეზის გამო, რომ დღევანდელ სხდომას აკლია რამდენიმე ამხანაგი. დაევალა პრეზიდიუმს ზომები მიიღოს, რათა შემდეგ კრებას აუცილებლად დაესწრონ ყველა ამხანაგები. სხდომამ იქონია მსჯელობა კოლექტივის წევრთა კრებაზე დაგვიანების შესახებ და დაადგინა: რადგან დრო ძვირად ღირს, მუშები კი მას ყველაზე მეტად უნდა ვაფასებდეთ, ეთხოვოს ამხანაგებს აუცილებლად მოვიდნენ დანიშნულ დროზე დაუგვიანებლად. აღნიშნული 5 საათის ნაცვლად მიღებულ იქნა 6 საათი (საშემოდგომოდ), დაგვიანებულ ამხანაგებს დაუცდიან მხოლოდ ნახევარ საათს, შუიდის ნახევარზე თავმჯდომარე ხსნის კრებას, თუ დაესწრო არა ნაკლებ შვიდი კაცისა. შვიდის ნახევრის შემდეგ მოსული ამხანაგი აღარ ჩაითვლება გამოცხადებულად (გამონაკლისს შეადგენს ამხ. ქიტიაშვილი, რადგან ის გვიან ათავებს მუშაობას). სხდომამ დაავალა პრეზიდიუმს — ყოველი სხდომის ოქმები გაეგზავნოს რედაქციასა და კოლექტივში.

თავმჯდ. კ. ლაბაური.

თფილისი. 2 აპრილს შესდგა ს. ს.-დ. მ. პ. პირველ რაიონის კოლექტივის წევრთა კრება ამხ. ბახტაძის თავმჯდომარეობით. დღიურ წესრიგში პირველ საკითხად აღნიშნული—მთავარ სახელოსნოს და დეპოს მუშა-მოსამსახურეების და რკინის გზის პროფეს. კავშირების ცენტრალურ კომიტეტის შორის ექიმ გურგენიძის დათხოვნის გამო გამოწვეული უთანხმოება. ამ კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ცენტრ. კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. არეველიძე. დიდი ნაწილი ორატორებისა აღნიშნავენ, რომ გურგენიძე გამოცდილი და ენერგიული ექიმია და მას მუშა-მოსამსახურეები თანაგრძნობით უყურებენ. ამ კითხვის შესახებ კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: კრებამ მოისმინა რა ამხ. არეველიძის მოხსენება რკინის გზის მთავარ სახელოსნოს და დეპოს მუშა-მოსამსახურეების და პროფესიონ. კავშირების ცენტრ. კომიტეტის შორის ექიმ გურგენიძის დათხოვნის გამო გამოწვეულ უთანხმოების შესახებ, გამოსთქვამს სურვილს, რომ ცენტრ. კომიტეტმა მეტი ყურადღება მიაქციოს და ანგარიში გაუწიოს ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეების ორგანიზაციებს. შემდეგ ამხ. ბახტაძე მოკლეთ აცნობს კრებას რაიონში კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის მდგომარეობას. ის აღნიშნავს, რომ ახალი გამგეობა ენერგიულათ აწარმოებს მუშაობას. რაიონში კულტურული მუშაობა ფართოვდება და მაგრდება. პროფ. კავშირების ცენტ. კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ძამანაშვილი თავის მხრივ აცნობს კრებას, რომ ცენტ. კომიტეტს სურს რაიონში არსებული კულტურულ-განმანათლებელი ორგანიზაციები გაaერთიანოს ერთ მთლიან ორგანიზაციაში და მოუწოდებს კრებას დაეხმაროს ცენტ. კომიტეტს ასეთ ორგანიზაციის შექმნაში. ცენტ. კომიტეტი უფრო ძლიერია ნივთიერათ და უკეთესათ შეუძლიან მას აწარმოოს რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების შორის კულტურული მუშაობა—დასძენს ამხ. ძამანაშვილი. კრება იწონებს ცენტრ. კომიტეტის მიერ გადადგმულ ნაბიჯს და აღუთქვამს თავის მხრივ დახმარებას აღნიშნულ საქმის სასურველათ დაგვირგვინებაში.

მდივანი.

მუშათა შორის

ჩაქვის სახელმწიფო მამულის ყოფილი მუშების საყურადღებოთ, ვინაიდან ჩემამდე მოვიდა ცნობები, ვითომ ჩაქვის სახელმწიფო მამულის ყოფილი მუშების 1918 წ. იანვარში, თებერვალში და მარტში ნამუშევარი კუთვნილი ფულები მე ამეღოს და მათთვის არ დამერიგებინოს, ამიტომ საჭიროთ ვთვლი გავაგებინო მუშებს საქმის მდგომარეობა: მე ვიყავი მათგან არჩეული თფილისში მიწათ-მოქმედების სამინისტროდან მუშების კუთვნილი ფულების ასაღებათ. მიუხედავათ ჩემგნით მრავალი მეცადინეობისა, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ რვა ჯერ ლანჩხუთიდან თფილისში ავედი და იქ ათი თორმეტი დღე მოვუნდი საქმის გაკოკლდეგას თვითეულ ასლაზე, ერთხელაც ჩაქვში ჩავედი მუშების ტაბელის ამოსაღებათ, რომელსაც ათი დღე მოვუნდი იქ, მაგრამ ყველა ამან ჯერჯერობით ვერაფერი მოგვიტანა. ერთი იმედი ვიქონიე, როდესაც ჩემი ატანილი ტაბელი სამინისტრომ ისევ ჩაქვში გაგზავნა შესამოწმებლათ, მაგრამ შემოწმებული ტაბელი, რომ მიიღეს სამინისტროში და მე მივაკითხე დაკმაყოფილებისათვის, მიპასუხეს, რომ ჩაქვის საქმეები საგარეო სამინისტროს უნდა გადაეცეთ, რადგან ჩაქვის მამული სხვა სახელმწიფოს ხელშია და ვისაც ეკუთვნის მამული, იმან უნდა დააკმაყოფილოს მუშებიო. 4 აპრილს ყველა ჩაქვის საქმეები გადასცეს საგარეო საქმეთა სამინისტროს. ვინაიდან ეს საქმე ასე იმყოფება, ვსთხოვ ყველა იმ პირებს, რომლებსაც არ სჯერათ, სიმართლის გასაგებათ მიმართონ წერილობით და თუნდა პირადათ მიწათ-მოქმედების სამინისტროში სახელმწიფო მამულების განყოფილებაში მ. ჭარცვაძეს და ა. რომელოვს, რომელთან გაიგებენ საქმის ვითარებას.

ჩაქვის სახელმწიფო მამულის ყოფილი მუშების რწმუნებული ხერგო ს. გოგიშვილი.

თფილისი. 6 აპრილს შესდგა ლითონზე მომუშავეთა კავშირის წევრთა საზოგადო კრება. კრებამ განიხილა ორი სადაო საკითხი: 1) ლითონზე მომუშავეთა კავშირის დამოკიდებულება ამიერ კავკასიის პროფ. კავშ. ყრილობასთან და 2) ქალაქის მოსამსახურეთა გაფიცვა. პირველ კითხვაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ხელაძემ. მან გააცნო კრებას საბჭოს გადაწყვეტილება ამ კითხვის შესახებ, რომლის გამო ყრილობა უნდა მოხდეს ქ. თფილისში. ლითონზე მომუშავეთა კავშირმა დაარღვია ეს გადაწყვეტილება, შეიტანა დეზორგანიზაცია მუშათა შორის და გადასწყვიტა გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები ბაქოში, რათა ისინი იქ დაესწრონ ყრილობაზე მონაწილეების დაუმტკიცონ და განუმარტონ კრებას ასეთი დადგენილებების არა სასურველობა და მიუთითა მის ცუდ და უარყოფითი მხარეებზე. ენერგიული პროტესტი გამოაცხადა ასეთ რასკოლნიკურ პოლიტიკის გამო და მოუწოდა კრებას გადაესინჯა პირველი დადგენილება და გამოეწვია უკან არჩეული დელეგატები. კრებამ მიიღო მომხსენებლის წინადადება, აღიარა წინანდელი გადაწყვეტილება შეცდომათ, გამოიწვია უკან ბაქოში გაგზავნილ დელეგატები: რუხაძე, როხლინი, სემიონოვი და აირჩია შემდეგი დელეგატები: ავაქიმოვი, სემიონოვი, ქლინტი და შუბაშვილი თფ. ყრილობაზე დასასწრებლად.

ქალაქის მოსამსახურეთა გაფიცვის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. თოფაძემ. კრებამ დაგმო გაფიცულების მოქმედება და სრული ნდობა გამოუცხადა პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, მოიწონა რა მისი მოქმედების ხაზი ამ საკითხში.

X.

თბილისის არტილერიის საწყობის ლითონზე მომუშავეთა ჯგუფ საოფიციალური კავშირის რეზოლუცია. ჩვენ თფილისის საარტილერიო საწყობის მუშებმა, წევრებმა ლითონზე მო-

მუშაკეთა პროფესიონალური კავშირისა, რიცხვით 151 კაცმა განიხილეთ რა საზოგადო კრებაზე 5 აპრილს კითხვები: 1) შესახებ იმისა, რომ ჩვენ ჩვენგან გაუგებარი მიზეზების გამო გამოტოვებული დაგრჩით კოლექტიური ხელშეკრულებიდან და დღემდის არ მიგვიღია ის ჯამაგირების მომატება, რომელიც მიიღო კავშირის სხვა წევრებმა, 2) რომ ხსენებული კავშირის წევრთა „საზოგადო კრებამ“, რომელზედაც იყო მხოლოდ 150 კაცი 1600 კაციდან და სადაც გამგეობამ დაადგინა ნზარი დღეგზნოს ქალაქ ს მოსამსახურეთა ნაწილის გაძევებას, უნდობლობა გამოუცხადოს კავშირთა საბჭოს და პროტესტი ჩვენს მთავრობას, და 3) შესახებ იმისა, რომ ჩვენი კავშირის გამგეობა და ხსენებული „საზოგადო კრება“ მოითხოვს იმისა, რომ ჩვენი კავშირის დელეგატები გაიგზავნონ კავშირთა კონფერენციაზე ბაქოში და არა თფილისში, რაითაც ითიშება მუშათა კლასი, უცხადებთ რა ენერგიულ პროტესტს ჩვენი კავშირის გამგეობას და იმ „საზოგადო კრებას“, რომელიც დაადგა ყალბ გზას, ვადგენთ: 1) მიენდოს ჩვენ წარმომადგენლებს მოსთხოვონ კავშირის გამგეობას და სთხოვონ სეკრეტარიატს სასწრაფოდ იქნეს მიღებული ზომები ჩვენი ჯამაგირების გადიდებისთვის და ჩვენზე კოლექტიური ხელშეკრულობის გავრცელებისთვის, 2) ჩვენ არ ვუჭერთ მხარს ქალაქის მოსამსახურეთა ნაწილის გაძევებას და სრულიად სამართლიანად და მიზან შეწონილად ვსთვლით კავშირთა კავშირის მოქმედებას ამ საკითხში, 3) რომ ჩვენი კავშირის წარმომადგენლები უნდა წავიდნენ არა ბაქოს კონფერენციაზე, არამედ თფილისისას დაესწრონ. რომ ყოველივე ეს გატარდეს ცხოვრებაში და მით დაცული იქნეს მუშათა კლასის ნამდვილი ინტერესები, ჩვენ მოვუწოდებთ ყველა წევრებს ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალური კავშირისა მეტის სიფხიზლით და გულმოდგინებით მოეკიდონ ხელი კავშირის საქმეებს, მიიღონ მისი მოწყობა-მოხმარებაში აქტიური მონაწილეობა და მით საშუალება მოუსპონ სხვა და სხვა ჯგუფებს და პოლიტიკანებს, რომლებსაც მიჰყავთ კავშირი დაღუპვისაკენ, აქეთიან თავის გამთიშველი და მუშებისათვის საზარალო საქმე. ამასთანავე კრებამ გადასწყვიტა, თუ ისინი არ დასთანხმდებიან თფილისის კონფერენციაზე პროფ. კავშირის მონაწილეობის მიღებას, არჩეულ იქმნას ჩვენგან ორი დელეგატი, რომლებიც არჩეულ იქნენ კიდეც სახელდობრ: 1) ივანე შუბაშვილი და ქუნტა. X.

პროვინცია

ს. ჭიათ. (შორაპნის საზოგადოება) 30 მარტს, აქ მოხდა ყრილობა წევრთა და წიფლაკაკის მცხოვრებ ების. კრებას თავმჯდომარეობდა ს. გაჩეჩილაძე. დღის წესრიგში იყო საკითხი სამღვდელოების შესახებ. სანამ ამ კითხვის გარჩევას შეუდგებოდა, კრებამ მოისმინა კოოპერატივის თავმჯდომარის განცხადება, რომ მათ მიიღეს ასი ფუთი სიმინდი. კრებამ ერთხმად დაადგინა, განაწილდეს სიმინდი უფრო გაჭირვებულთა შორის, რისთვისაც იქვე შეადგინეს სია და დაამტკიცა კრებამ. ამის შემდეგ კრება გადავიდა საეპისკოპოსო საკითხზე, სამღვდელოების შესახებ, რომლისთვისაც არა ერთი და ორი კრება მოეწყო. კრებამ განიხილა საკითხი ყოველ მხრივ და დაადგინა დაიცვას საგანგებო არჩეულ კომისიის მიერ შემუშავებული ნიხრი, რომლის მიხედვითაც უნდა დაკმაყოფილდეს ესა თუ ის მღვდელთ მოქმედება. მღვდლები იცავდნენ მათი კავშირის მოთხოვნილებებს, რომელიც გამოიხატებოდა შემდეგში: ოცი თუმანი ჯამაგირი თვეში და ორი თვალი სახლი საზოგადოებითი მღვდლებს. (ორი სამი მღვდელია) თხუთმეტი თუმანი და ერთი თვალი სახლი საზოგადოებითი მედავითნეს თვეში. ერთი მღვდელი მაკ. გაჩეჩილაძე იყო ვითომც „კაპიტალის“ ხასიათზე, მაგრამ მადა მაინც დიდი ჰქონდა. მან განაცხადა „ჩვენ ვცხოვრებთ უკანასკნელით ჩემმა ამხანაგმა ელ. აბ—ძემ ხუთასი თუმნის ღვინო გაყიდა, თქვენ კი დარჩებით უღვთოდ და ჯანაყვთ რადგან იცხოვრებთ“. მეორე მღ. ელ. აბ—ძემ სთქვა: „ე თუ გინდ აქავე მომკლან არ ვღალატებ ჩემს კავშირს და არ გამოვესხლტები ამხანაგებშიო“. ამ განცხადებებმა კრება მოთმინებიდან გამოიყვანა, ერთი მოხუცი გვირიდა თქვენ ხუთასი თუმნის ღვინოს ჰყიდით. ამდონ ფულებს კიდევ ილებთ ჩვენგან და თუ ეს თქვენ არ გყოფნით ჩვენ რითითი ვიცხოვროთო. მღვდლები არ დათანხმდნენ ზემოხსენებულ ნიხრზე და განაცხადეს: ვკეტავთ ეკლესიას და დღიდან ვერაფერს ჩვენგან ვერ მიიღებთო. ამ განცხადებამ გამოიწვია კრების აღშფოთება და დაადგინა, რომ მღვდლებმა მღვდელმოქმედებისთვის არ გამოიყენონ ეკლესია და არ გაეწიონ ამხანაგობა სეკულარიზაცია დაადგინა საზოგადოებამ თავის მხრით მეორე ბოქლომი, კლიტე და ამ კრების ოქმი მიაბაროს ორ არჩეულ პირებს: ლად. მუმლაძეს და ნიკ. გაჩეჩილაძეს. ასეთი დღეს მღვდლების მადა სოფლათ, ასეა გამწვავებული დამოკიდებულება მღვდლებსა და ერს შორის არა მარტო ამ სოფელში, არამედ ყოველგან, მთელს მაზრაში. ჩვენ გვწამს, რომ დამფუძნებელი კრება დაუყონებლივ მოახდენს რეფორმას ამ დარგში და მით მოუსპობს საშუალებას მღვდლებს აღვირ ახსნილ სპეკულაციისთვის. უნდა მოხდეს ეს მალე. ტაპ.

ოზურგეთის და მისი ახლო მახლო მდებარე სოფლების მცხოვრებლებმა ამ ათი თორმეტი წლის განმავლობაში ორ ჯერ განიცადეს სასტიკი ძარცვა განადგურება. პირველი იყო 1906 წ. დასაწყისში, როცა „კრილოვის“ მეჯლიშობა შეესია ოზურგეთს და მის მიდამოებს და ქვა ქვაზე არ დაუტოვებია; მეორე კი წარსული წლის აპრილში, როცა ოსმალეთის ჯარი შემოესია ოზურგეთში და ცეცხლს და მახვილს მისცა ხალხის ნაშაგარი. ორივე შემთხვევაში ჩვენმა საზოგადოებამ დიდძალი ყურადღება მიაქცია დაზარალებულთ და ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება აღმოუჩინა.

ინგლისელი შეიროველი ფულების შეწირულება არ ცხადდება, საზოგადოებამ არ იცის რამდენი არის ფული, რას და ვის უნდა მოხმარდეს და სხვა. ათი თუთხმეტი მოხალე კაცი ოზურგეთში სრულიად გადაბუგული (ცეცხლიდან, დადიან ხან ერთთან ხან მეორესთან ხან ქუთაისში ეხვეწებიან, ეშუამდგომლობიან დაგვეხმარეთ რაიმე, მაგრამ არავინ ყურადღებას არ აქცევენ მათ. ფულები არის; დახმარება საჭიროა, ამ ფულების დანიშნულება დახმარებაა. მაშ რას აწვალებენ ამ ისედაც განაწამებ ხალხს? იციან თუ არა ამ საქმის მეთაურებმა რას ამბობენ „ბოროტი ენები“ და განა საფუძველს მოკლებულია ასეთი ლაპარაკი? ანგარიში ტიკტიკი უნდა, რომ ყველამ დაინახოს; საჭიროა უსახლკაროთ დარჩენილ ხალხის დახმარება დროზე, საჭიროა აღდგენითი სამუშაოების ორგანიზაცია და მთავრობამ გასინჯოს და შეამოწმოს დახარჯული შეწირულობათა გადმოგზავნილი ფულების ანგარიშები.

ყ. ნ.

ბორჯომი 31 მარტს მოხდა ქალაქის თვითმართველობის კრება, რომელზედაც განხილულ იქნა საფინანსო და სანიტარულ კომისიების მოხსენებები. საფინანსო კომისიამ ჯერჯერობით შემოუშვებია გადასახადები მხოლოდ სამ დარგზე: სახეობა და შუშის ქარხნებზე, მინერალურ წყლის ექსპორტზე და შემოსავალ-გასავალ საქონელზე. კომისიის გამოანგარიშებით (სენებულ პირველ ორ დარგს, თუ დაედება 3% და უკანასკნელზე კი საფუთო გადასახადი 10 კ. ქალაქის თვითმართველობას ამ დარგებიდან შემოუვა 140000 მან. საბჭომ შესაძლებლად სცნო სამი პროცენტის მაგიერ 5%, დადება და დაადგინა ეთხოვოს მთავრობას მიღებულ პროცენტის დამტკიცება.

სანიტარულ კომისიის თავმჯდომარემ ექ. ს. კანდელაკმა წარმოადგინა ვრცელი მოხსენება სანიტარიის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნული იყო დაწვრილებით ყველა ის საშუალებანი, რომლიც აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ კურორტისათვის. მან ხაზი გაუსვა განსაკუთრებით ბალნეოლოგიის რაიონის გასუფთავებას, რომელიც უნდა ჩაითვალოს ყოველ გვარ ეპიდემიის სათავეთ. იქ ლეშების ბევრი დაუსუფთავებელი ლტოლვილი ცხოვრობს მოუვლელ ერკებში, სიდანაც ყოველგვარი უსუფთაობა ჩამოაქვს ბორჯომში მდინარეს. საბჭომ მოხსენება მიიღო სახელმძღვანელოდ.

ნოდე.

ს. ნოსირი (სენაკის მაზრა). ამ სოფლის ჩრდილოეთით და დასავლეთით უვლის მდინარე ტეხური, რომელიც ანადგურებს სოფელს. განსაკუთრებული გამანადგურებელი ხასიათი მიიღო 1892 წლიდან, მდინარე რომ ადიდდებოდა ხალხის ბაღებს სრულებით გადარეცხავდა და თოხ ბუჩქებ ხალსავდენ ყანებს, ამის შესახებ იყო რამოდენიმე თხოვნები შეტანილი, მაგრამ არაფერი გაკეთებულა.

1906 წ. ერთ დღეს მოწვეულ იქნა ბარონ ჩაპეთით ს. ს. ნოსირის და ზანათის მცხოვრებთა საზოგადო კრება იმ ნაპირას, სადაც მდინარე გადმოდიოდა, კრებაზე აუხსნეს საზოგადოებას მოწვევის მიზეზი და მოუწოდეს გაეკეთებით საჭირო ადგილზე თირ ლის დამბები, რაც იმ დღესვე იქმნა შესრულებული: თითო დასწყის იმუშავა არა ნაკლებ ორი ხუთი საათისა და ისეთი სიმაგრე გააკეთა, რომ ორივე სოფელი განთავისუფლდა წყალ-წყალდიდობისაგან და საზოგადოებას რეაქციის ხანებში შერჩა სანუკვეშიდ მხოლოდ ეს. 1914 ხსენებული დამბა ისევ ჩარეცხა წყალმა და მას აქეთ ნაპირი იმავე ადგილს ისე დაადებულა, როგორც უწინ და ეხლა ისევ ძველებური მდგომარეობაში ჩავარდა სოფელი. ადგილობრივი ერობის გამგეობას სთხოვეს საქმის მოგვარება მაგრამ ჯერ ჯერობით გამგეობა მთხოვნელებს დაპირებით ისტუმრებს და მის გადადგმულ ნაბიჯებს არავინ ხედავს ამაზე უმნიშვნელოვანესი საქმე საზოგადოებაში არ არის. საჭიროა მისი დაუყოვნებლივი მოგვარება.

დ—შვილი.

სახალხო გვარდიისთვის

წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ მესამე რაიონის სახალხო გვარდიის შტაბთან არსებულ სკოლა-სამკითხველოს შემოსწირა ას მანეთად ღირებული წიგნები.

დამფუძნებელი კრების გახსნის დღეს გვარდიელმა იოსებ მენთეშაშვილმა ავლაბრის რაიონის გვარდიის შტაბს შემოსწირა რვაას მანეთად ღირებული ძვირფასი დროშა, რომელიც შტაბის საზეიმო დროშათ იქმნა აღიარებული და პირველად აფრიალდა დამფუძნებელი კრების გახსნის დღეს. შემომწირველთ მესამე რაიონის გვარდიის შტაბი მადლობას უძღვნის.

შტაბის თავმჯდომარე ალახანოვი.

ციხის მოამბეზღნის

რევოლუციის პირველ დღეებიდანვე გორის მაზრაში ვარ, მეჯვრისხევის რაიონში. მოვედი თუ არა, მყისვე მაცნობეს, რომ ადგილობრივ ხალხს დამატირებდა რეგემოეონერი საქციელი მხეცი ბათიაშვილი (ეხლა კი სოციალისტ-ფედერალისტის ქურქში გახვეული). მოვიარე მთელი მეჯვრისხევის რაიონი, მოვაწყე ყველგან გლეხთა საბჭოები, მათი აღმასრულებელი კომიტეტები და ბოლოს ჯერი მიდგა რაიონის კომისრის არჩევაზე. რაიონის გლეხთა საბჭომ მე ამირჩია. აი ამ დღიდანვე ბათიაშვილმა და კომპანიამ დაიწყო ჩემს წინააღმდეგ ათასგვარი ჭორები, თითქოს მე ვიყავი საგურამოში, ვერ ილია ჭავჭავაძის მკვლელი და სხვა ბოროტებათა ჩამდენი. (მე კი ჩემს სიცოცხლეში არ ვყოფილვარ საგურამოში), ავრცელებდა ათასგვარ ჭორებს. ვასო ბათიაშვილი ჩაკავშირებული იყო თავადებ ფ ხამდე, არაფერს არ აკეთებდა რესპუბლიკის სასარგებლოდ, აშინებდა ხალხს აქეთის მოხელე ბით და ჩვენი ლაიძის სამართლიდან ილებდა ტყუილ ჯამაგირს. მეც ერთხელ პირადად შევეკითხე მაზრის კომისარს. მან მითხრა: მოიცადე და დავათხოვნინებთ. ასეც მოხდა. ბ-ნი ბათიაშვილიც დაითხოვეს. ამის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, კიდევ უფრო გადამემტერა და უფრო მეტის თავი ჭორებისა და ლანძღვის გუდას. ამ დროს დაიწყო სომხეთ-საქართველოთა ომი, გამოიცა საგანგებო დადგენილებები თფილისის გუბერნიის გენერალ გუბერნატორისა მეზღვეობიან მოქალაქეთა იარაღის აყრის შესახებ. იარაღ-აყრილებმა მომმართეს საყვედურის კილოთი და მითხრეს: აი ბატონო! წინათაც ასე იყო: პრისტავ-მაზახლისები ჩვენ იარაღსაც გვართმევდნენ და ციხეშიაც გვამწყვდევდნენ და მაგ თავად აზნაურობას და ჩინოვნიკებს კი ფარდავათ ეყენებდნენო. მეც ავყარე სამი ნაჭერი იარაღი ბ-ნ ბათიაშვილს. აი, ამის შემდეგ კი ბ-ნმა ბათიაშვილმა სულ ცოფების ყრა დაიწყო და გარდა იმისა, რომ ჩემს კერძო მტრებს აღაძრევინა რა ჩემზე საჩივარი შინაგან საქმეთა მინისტრის თვითაც გრძელი დია წერილით მიმართა.

ამ ბოლო დროს გამოაჩინეს ადგილობრივი კოოპერატივის გულშემატკივრობა, გაავრცელეს ხალხში: კოოპერატივი შეუქმნიათ და რუხაძე ყურადღებას არ აქცევსო. მე მაშინ კოოპერატივის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ვიყავი (პირიქით თითონაც შეუქმნიათო. ამა, ხალხი ხომ ამაზე ადვილად არაფერს არ დაიჯერებს). მოიწვიეს საგანგებო კრება, ისარგებლეს იმით, რომ მეც და ჩემი ამხანაგებიც დატვირთული ვიყავით ჯარის და გვარდიის მობილიზაციით და რაიონის სხვადასხვა კუთხეებში დავდიოდით, აირჩიეს ახალი სარევიზიო კომისია, ჩვენ გვლანძღეს, გვათრიეს. პასუხს გამცემი არავინ იყო. იმის, იკვლიეს 21 დღის განმავლობაში და ბოლოს განგებობა გაათავეს. შეკრიბეს მათთან ბლიკი და ასე ამხანაგად ჩვენ ვითომ და გაგვემართლოვეს, მერე არ იკითხავეთ, რაში იყო საქმე? ჯამაგირის დაგვიანების გამო, გამგეობის თანხმობით, როგორც დაწესებულებას, მოგვცეს ნისია, ვინაიდან დადგენილი ჰქონდათ დაწესებულებებისთვის მიეცათ ნისიათ. აი, ამ ნისიით თუ მე მთელი ხალხი გაძარცვეს, როგორც კრებაზე, ისე ქუჩა ქუჩა და მე კი არც ერთხელ არ მითხოვეს, ვინაიდან ეს ჩემს გასამართლებლათ უნდოდათ ხალხში, რისი აშკარა საბუთიც მაქვს. მაგ. როგორც კი გაიგეს მყისვე გაუსწორდი. სახელდობრ 21 იანვარს, რის ბარათიც მქონდა და 2 თებერვალს კრებაზე გორიდან მისულმა კრებას შევესწარი და კიდევ იმაზე ლაპარაკობენ, რომ რუხაძემ კოოპერატივის ფული შეჭამაო. მერე არ იკითხავთ როგორი მიანგარიშეს (ოქმით) 887 მ. 10 კაპ., მეორედ 701 მანეთი და 25 კაპ, მესამედ 692 მან 10 კაპეიკი, მეოთხედ 579 მან. 10 კ. (კიდევ რამოდენიმეჯერ რომ ეანგარიშნათ ალბათ 50 მან. ჩამოვიდოდა). მერე თქვენ გგონიათ იმავ გამგეობამ, რომელიც მე ჯვარცმას მიპირებდა, მარტო მე მომცა ნისია? არა, მან ნისია მისცა 12 პირს და 2888 მანეთის და 23 კაპ. მიუხედავათ ყოველივე მათი ხრიკებისა ხალხმა ბოლოს და ბოლოს მაინც გაარჩია მტერი მოყვრისაგან და შავი თეთრისაგან და მიმდინარე წლის 9 მარტის კრებაზე ისინი სრულიად გააშავა და ჩვენი რიგით კოოპერატივს ნამდვილი გულშემატკივარნი აირჩია. მერე არ იკითხავთ რა გამოირკვა? ყურები გამოაჭენეს 25000 მან. მოგება დარჩათ, ყოფილ გამგეობას მადლობა გამოუცხადოთ და ადმინისტრა კოოპერატივი საქონლიდან ცარიელი, კასა ცარიელი და ჯერ ჯერობით გამოირკვა, რომ 2000 მანეთამდე „შეუჭამნიათ“ და ჯერ კიდევ ალბათ ბევრი აღმოჩნდება მათი „საქმენი“. ყველა ამისის შემდეგ ნება მიეცემ თავს განვაცხადო, რომ დღემდე ბ-ნ ბათიაშვილმა და კომპანიამ ჩემზე რაც დასწერა „სახალხო საქმის“ თუ „სოციალისტ-ფედერალისტის“ ფურცლებზე, ან „დაისებში“ წერა თუ ზეპირათ ავრცელებდა, ყოველივე მტკნარი სიცრუეა, თავ-აწყვებული უპასუხისმგებლო ჭორებია.

მეჯვრისხევის რაიონის კომისარი ი. რუხაძე.

განცხადებანი

დავკარგე

უბილო „პასპორტი“ მოცემული ოზურგეთის ქ. გამგეობისაგან, რომელშიაც იყო კიდევ შემდეგი დოკუმენტები: ქობულეთის კოოპერატივის საწევრო კვიტანცია, სამხედრო თავისუფლების მოწმობა. ატრეზანი კუპონი და ახალი ქართული ლატარიის ბილეთი № 470 სერია № 96 ვსთხოვ თუ ვინმემ იპოვნოს ეს საბუთები გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: ხაშ. საჯევახო, რკინის გზის დარაჯს სიმონ ლ. ცინცაძე, რისთვისაც მიიღებს საჩუქრად (100 მან.) ფულდ ურეს შემთხვევაში ზემო ხსენებულ საბუთებს გაუქმებულად ვაცხადებ.

27 მარტს № 3 მატარებლის პირველ კლასის ვაგონში.

დავკარგე

ტყავის პორთფელი, რომელშიაც იყო ფულის მიღების საბუთები, ოქმები და მიწერ-მოწერის ბარათები მთელი რვეული უფასო ბილეთების მე-3 კლასის და სხვა, რომლებიც ჩემთვის შეადგენს დიდს და აუცილებელ საჭიროებას და მნახველისთვის კი გამოუსადეგარია. მნახველს ვსთხოვ გამომიგზავნოს ეს ქაღალდები შემდეგ ადრესით: ქ. ქუთაისის სადგური. ღრმადებით საწყობის ზედამხედველ ხამხონ პირაქაძეს. (3—2)

ქართული ლატარია

დავაბნებოთ თავი
ქვეყანაფერს და ყვირილს!
ერთი კითხვა მწვავე
ახლა ითხოვს შველას.
ჯერ არ დაგვივიწყებია,
ლატარიის ბედი!
ხელოვნება გვინდა
განათლების სვეტი.
ეხლა ლექსი აქებს,
ჩვენი ქვეყნის მშენებელს,
ყველა მოქალაქეს,
ყველა ერთგულ ქართველს:
მოდგაშურეთ მალე
ჩვენ გასწავლით გზასა...
სწრაფად დაიცალა,
ბილეთების კასა!
მსურს მუდამ ვუმღეროთ,
ერს სხვა ფიქრით გართულს:
„მიაშურე ერო,
ლატარიას ქართულს“.

ექიმი
გ. ფ. მგალობლიშვილი
ქალისა და სქესობრივ ავადმყოფობის მიღება ყოველდღე საღ. 5—7 საათ. ოლღის ქ. № 41, ტელ. 9—53.

ბიურო მე-6 რაიონულ კოლექტივისა ს. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია
სიონის ქუჩაზე
სიველოზოვის შენობაში, ღიაა დილის 1 საათიდამ საღამოს 5—8 საათამდე ტელეფონის № 10 94

ექიმი
ნ. გ. გეგეჭკორი
სპეციალური—ბავშვთა და შინაგანი ავადმყოფობანი: ავადმყოფობანი გულისა და ფილტვებისა, ყირიმინოვის ქუჩა №10. მიღება საღამ. 5—7 საათ. ტელ. 17—68.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სიდენიადი და არსებითის ტიკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისთვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.

ექიმი ვ. ბ. ზაზრაძე.
სპეციალური სიფილისი და მისი შედეგები (შეზხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით მისამ: ოლღის ქ. № 33.

ექიმი
დ. გ. ჯაჯანიშვილი
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიას ქ., № 41, ტელ. № 14—60.

ექიმი
პ. თ. ცუცუნაშვილის
სამკურნალო კაბინეთი
მიხეილის (№ 55) და ბელგის (№ 1) ქუჩების კუთხე, ფოსტის მახლობლად შესასვლელი ბელგის ქუჩიდან—აფთიაქის პირდაპირ ვენერიული, კანი, ხიფილ. (606 და 914 შეზხაპუნება) საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათ. (25—12)

ექიმი
ბესარიონი პოპოვი
განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს. მიღება დილ. 11—12 საათ. და საღ. 5—7 საათამდე. მიხეილის პრ. № 117, ტელ. 18—27.

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
კირიჩნი ქ. № 49, ანდრეევის ქუჩის კუთხე. ვენერიულ სნეულებათა სპეციალისტი (ძნელი და ხრონიკული სუსუნატი) ხიფილისი და მისი შედეგები, კანის ავათმყოფობანი, „606“ და „914“ შეზხაპუნება. მამაკაც ავათმყოფების მიღება დილის 10—12 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე.

ექიმი
კეკელია
იღებს ვენერიულ სნეულებიან ავათმყოფებს (914, 606 შეზხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ. ტელ. 14—28.

ექიმი
ნ. ლ. ცერიაშვილი
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს ყოველ დღე შინაგან, საბავშვო და ქალურ სნეულებიან ავათმყოფთ დილიდან 12—2 საათ. ნიკოლოზის ქ. № 7 სიმხიჭიანის აფთიაქის გვერდით.

სამკურნალო კაბინეთი ექიმი
ვ. ნ. გოგიტიძისა
ყოფ. ორდინატორი ვენერ. კლინიკის სამხ. სამედ. აკადემიისა პეტროგრადში ვენერიული, კანის, ხიფილ. საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი, „606“ და „914“ შეზხაპუნება. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, კვირა უქმე დღეების გარდა, საღამოს 4— საათამდის. კაჩბერეევის ქუჩა, № 11.

დოქტორი
გ. გოლდშტეინი
ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი ჰოსპიტლისა და ვენის უნივერსიტეტის კლინიკისა.
თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 10—1 საათამდე და 4—7 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა № 32.

ექიმი ქალი
რ. გ. შიშლო-საგაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დახმარებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 11 ტელეფონი № 9—26.

ექ. დ. ი. ჯაფარიძე
დებულებს შინაგან, ყურის, ყელის ცხვირის სნეულებით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ., საღამოს 5— საათ. მისამართი: მადათოვის ქ. № ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—65.

მედიცინის დოქტორი
ალ. გ. მაჭავარიანი.
იღებს ხელოვნებაქირო ავათმყოფთ საღამოს 5—7 საათ. კვირაობის გარდა. ხეილის ქუჩა სახლი ადამოვისა № 11 (მე-2 ფლიგელი) ყელის ტელეფონი №

სახელმწიფო თეატრი
საოპერო დასი ს. ი. ველიჩიშვილის ხელმძღვანელობით.
ხუთშაბათს 10 აპრილს შუღეგინას, ფერნელის, მორიზოვას, სარაჯიშვილის, შვილის მონაწილეობით
აბესალომ და ეთერი
შაბათს, 12 აპრილ დარჩელი სამთსუღლის ბენეფისი 1) „ქ-ნ ბატერფლაი“, „მეფისტოფელი“., კვირას 13 აპრილს დილით ქართულ ენაზე „დემონი“, საღამოს „ტრუბადური“.

არტისტიულ საზოგადოების თეატრი
პირველად!!! ხუთშაბათს 10 აპრილს პირველად!!!
ქ-ნი ტასო აბაშიძის, ელ. ჩერქეზიშვილის, ნატ. ჯავახიშვილის მ. ვასო აბაშიძის და სხვათა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება
მუსიკით
ცეკვით
აშუღ ყარიბი
სიმღერებით
დაწვრილებით აფიშებში. (1—

ქ. თფილისის საკოოპერაციო სექციის ბიურო
აცხადებს ამიერ-კავკასიის კოოპერატივებში მომუშავეთა საყურადღებოთ, ბაქოელთა და ზოგიერთ თფილისელ ამხანაგების დაჟინებით თხოვნის ამიერ კავკასიის კოოპერატივებში
მომუშავეთა ყრილობა
გადაიდო განუსაზღვრელ დროისათვის. ყრილობის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული
(1—1) ქ. თფილისის საკოოპერაციო სექციის ბიურო

რადგანაც „სამკურნალო ფონდიდან“ მოსამსახურეთა ნაწილმა თავი დაანება სამსახურს
ქალაქის გამგეობა
იწვევს ექიმებს, ფარმაცევტებს, ფერშლებს, ფერშალ ქალებს, დაბალ მოსამსახურეთ და ამბულატორია მოხელეებს (სიდელკა) შესაფერ ადგილების დაკავებლად. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ქალაქის გამგეობის სამედიცინო სანიტარულ განყოფილებას. (1—1)

თფილისის მეპურეთა საზოგადოება „პური“
ყიდულობს სხვადასხვა ხარისხის ფქვილს პურისას, სიმინდისას და სხვ. საზოგადოების კანტორა მოთავსებულია დიდომთავრის ქუჩაზე № 12 (ავჭალისა და კ ცოვის ყოფილ კანტორაში), ღიაა დილის 9—3 საათამდე ყოველ დღე, კვირა უქმეებისა. (3—3)

მოგეპოვება განახლებული რედაქციით ახალი პარტია ნაცადი
საბოსტნე თესლეულობისა
თესლეულობის სავაჭრო „მიწა და შრომა“ („земля и трудъ“). ველიამინოვის ქ. № 1, მელიქუნოვის მაღაზია. (5—5)

[illegible]